

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საქართველო



№ 10




მოსკოლის საბავშვო — საქართველო

1910



შინაარსი:

I— მოშკალი და თევთავი, — ლექსი, ბანახასი	3
II— მამილა ბარბარე, — უცნობისა	5
III— ტოუერის მზე, — (თარგმანი), ან. ახადშენიშვილისა	14
IV— სიზმარა, — საღებურა ზღაპარი ლექსად, (დასასრულად), ი. გრიშაშვილისა	22
V— დიდების მაძიებელი, — (თარგმანი) ეფო შანშიაშვილისა	35
VI— ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ორბელიანისა, — ა. ხახანაშვილისა	4
VII— სინათლე და მისი მნიშვნელობა, — ი. მოსკოვილისა	50
VIII— დედა-მიწის აღსარება, — ქვანახშირის ხანა ჯედაშიაშვილისა, — ანსუბობაში ლ. ბოგვაძისა	54
IX— ნარევი: — ა) შირადა, კ. დარაშვილისა, — ბ) ანდაზა, ჩაწერილი სოფ. კრწთში, ღ. ნახუცრიშვილის-მიერ, — რე- ბუსი და ილსნა	64





152

იაპონელთა ტაძარი



ელექტრომეცადეი წიგნების გამოც. კაბინა



შინაარსი:

I—მომკალი და თავთავი,—ლექსი, ბანანსა	3
II—ზამილა ბარბარე,—უცნობისა	5
III—ტოუერის მზე,—(თარგმანი), ახ. ახალშენაშვილისა	14
IV—სიზმარა, — ხალხური ზღაპარი ლექსად, (დასასრული), ა. გრიშაშვილისა	22
V—დიდების მიძიებელი, — (თარგმანი) ელო შანშიაშვილისა	35
VI—ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ორბელიანი- სა,—ა. ხახანაშვილისა	40
VII—სინათლე და მისი მნიშვნელობა,—ა. შოსეშვილისა	50
VIII—დედა-მიწის აღსარება,—ქვანახშირის ხანა დედამიწის არსებობაში დ. ბოცვაძისა	54
IX—ნარევი:—ა) შარადა, კ. დარაშვილისა,—ბ) ანდაზა, ჩაწერილი სოფ. ერწოში, დ. ნახუცრიშვილის-მაკრ,—რე- ბუსი და აღსნა	64



მომკალი და თავთავი.

(უძვენი ლუარსაბ ზოცვაძეს)



მომკალმა მომკო ყანა და
შინ უნდა წამოსულიყო,
რომ ნახა ერთი თავთავი
ფეხზედვე დარჩენილიყო.

თან ხმა მოესმა:—მეც რატომ
არ მომპრი, რაღა მწირავო?

მომკალმა უთხრა:—არ მოგკლავ,
იცოცხლე, ჩემო შვილავო.

იყავ და ისიამოვნე,
უცქირე ცას და მზესაო.
არ თუ გაშინებს სიკვდილი,
ჩახვიდე მიწის ქვეშაო?

თავთავი

— აბა, გაჭხედე მინდორსა,
თვალი არ გადასწვდებო.

იქ ჰყრია ჩემი და-ძმები,
იმის რად არა ჰხედაო?

მარტო ცის და მზეს რის ვაქნევ,
ოხრადამც დარჩენილანო.
უმშონი, უგვარტომონი
ყველანიმც დახოცილანო.

ისევ სიკვდილი მირჩვენის
მარტოკას სიცოცხლესაო.
ნულარა მზოგავ, მეც მომკერ,
შენის ცოლ-შვილის მზესაო.

მომკალმაც უთხრა:—თუ ძმებთან
სიკვდილი გირჩენიაო,
აჰა და სამარადისო
სიცოცხლემც გიპოვნიაო.

უთხრა და მოსკრა თავთავი,
დააგდო ხელეურზედა.
მანც მშვიდად სული დალია
თავის და-ძმების გულზედა.

ბაჩანა.





მამილა ბარბარე.



ითქო გუშინ იყო, ისე მახსოვს. თორმეტის წლისა ვიყავი მაშინ. მამაჩემი საიდლანაც შორიდან დაბრუნდა შინა და გვითხრა—ჩემი დეიდაშვილი ბარბარე გადმოსახლდება და ჩვენთან იცხოვრებსო.

თავის დღეში არ მენახა და არც-კი გამეგონა მისი სახელი. ახალი სული ემატებოდა ოჯახსა; მცირე ამბავი-კი არ არის ესა! ვერაფერს წარმოიდგენს, თუ რა მოუთმენლად ველოდი ამ ახალ მამიდას! ხან როგორ მეჩვენებოდა, ხან როგორა! ხან ჩვენი მდიდარი მეზობლისთანა მეგონა და ისე ჩაცმული: ვერცხლივით მზზინავ ქალარა-შერთულ კავებით, ლეჩაქ-ყურგადაგდებული, მშვენიერ ძვირფას ხავერდის კაბითა და მუქის ფერის მოქარგულ სარტყელ-გულისპირით გამოწყობილი ხელში ოქროს ბურუნუთის კოლოფით. ხან უფრო ყმაწვილი მეგონა და ვფიქრობდი: უთუოდ ჩვენს ლამაზ ახალგაზრდა მეზობელსა ჰგავს: ყოველთვის მდიდრულად, შნოიანად მორთულსა; ხელში მუდმივ უქირავს სპილოს ძვლის მარაო, რომელიც ძალიან მომწონს. რასაკვირველია, ამისთანა მამიდა უბრალოდ არ მოგვადგებოდა კარზე: იმის ეტლში ოთხი ცხენი ებმებოდა. ახლა რამდენ ძვირფას ბარგს მოიტანდა: სულ ლამაზ-ლამაზ, პატარ-პატარა კალათებს. რასაკვირველია, უშველი თავის ოთახში დალაგებასა მეთქი, ვფიქრობდი. ყველაზე დიდი მე ვიყავი ოჯახში. ჩემი და სულ პაწაწინა იყო და უფროსი ძმები-კი ქალაქში იყვნენ სასწავლებლად. ასე რომ ჩემ ფიქრებს და ოცნებას ვერაფერს ვატყობინებდი. რამდენჯერმე ვცადე დედაჩემისთვის მეკითხნა,

მაგრამ რიგიანად ვერა მითხრა-რა, რაკი თითონაც ვერა მითხრა.
 ნობლა.

— მე შგონი, — მითხრა ერთხელ დედაჩემმა, — იმდენად
 კკუაში ჩავარდნილი ქალი ხარ, რომ დარიგება აღარ გინდა,
 თუ როგორ უნდა მოექცე სტუმარს და მეტადრე მამაშენის
 ნათესავსა.

ამ სიტყვებმა, კოტა არ იყოს—გამაკვირვა! არა, ერთი,
 რად მინდოდა ამისთანა გაფრთხილება? განა მამიდა ისეთი
 მშვენიერი არ იქნება, როგორც მეჩვენებოდა?

მეორე დღეს მშვენიერი თბილი საღამო იყო. ჩვენ, ყვე-
 ლანი, აივანზე ვისხედით და გადავკვიროდით ჩვენს დად
 სუფთა ეზოს, სადაც შუა ადგილას სასიამოვნოდ გადაშლილი-
 ყო შემოდგომის ყვავილები. ვნახოთ, ეზოში უცებ ცხენის
 ურები შემორახრაბხდა; დაგლეჯილ-დაფლეთილი მეურმე გად-
 მოხტა თავის დაგლეჯილ ლეიბ-ჩაგებულ ურმიდან. კუთხეში
 მიაყენა თავისი გლაბა ცხენი და ურმიდან გადმოახტუნა ვი-
 ლაცა საცოდავი ქვრივულად ჩაცმული დედაკაცი. მამაჩემმა
 დაინახა თუ არა, შესძახა: „ოჰო, ბარბარე მოგვივიდა!“ და
 გაექანა მისაგებებლად. დედაჩემიც მარღად წამოხტა და თან
 მე მითხრა:

— აი, შვილო, ეს ის მამიდაა, რომელსაც ველოდით!

თითქო ცივი წყალი დამასხესო, ისე გავხდი. ველარ ვიძ-
 როდი, ისე გავშეშდი ერთ ადგილას და თვალეზ-დაქყეტილი
 შევეკვიროდი ამ უმსგავსად ჩაცმულ დედაკაცს. შავი უბრა-
 ლო აჩაჩულ-დაჩაჩული ტერნოს კაბა ეცვა, შავი ტერნოს
 მოსახვევი კაბის ნარჩენი ეხვია და შავი გახუნებული შალიც
 ესხა—ისე უბედურად, უშნოდ. ძველი ჯალაშის ლეჩაქი ძლივს
 უჩანდა დიდ ტერნოს მოსახვევიდან. არც სარტყელ-გულის-
 პირი, არც ყურთმაჯები, არცა!... ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს
 იყო ჩემი მამიდა?!

გაოცებული უყურებდი ამ აბრანძულ უშნო დედაკაცს,
 რომელსაც სიყვარულით მიესალმა მამაჩემიცა და დედაჩემიც:



დედაჩემმა მხარზედაც-კი აკოცა, თითქო ერთი ვილაცხმობდა და პატარასცემი მანდილოსანიო, ღმერთო, შეგცოდნე და მე ზიზლით უცქეროდი ამ მამიდას, რომელიც არაფრით არა ჰგავდა იმისთანას, რომელიც ჩემმა გონებამ დამიხატა მოლოდინში. არ უნდა-კი ვთქვა, მაგრამ ველარ შეფხელ იმის ცქერა და მოვკურცხლე დედას ოთახისაკენ დასამალავად; აქ უფრო გადვირიე, რაკი იმის ლაპარაკი მკაფიოდ მეყურებოდა სასტუმრო ოთახიდან. იმის ლაპარაკი და ჩვენის მოახლის ლაპარაკი ერთი იყო—სულ ტეტყურად ლაპარაკობდა—ჩვენის მოახლის ლაპარაკი სჯობდა ისევე. ოჰ, ღმერთო, უსწავლელიცა ყოფილა მეთქი, გავიფიქრე გულში.

ჩემი პატარა და მალე შეეჩვია, რაკი რალაცა ტკბილი კვერები მისცა. ხელ-ცარიელი არ მოვიდა თავის ქუაში: ქუქყიან, ძველ პატარა გიდელაში ჩაეყარა ზოგი ჩირი, ზოგი ჩამიჩი, ზოგი წვრილი მაქალო ვაშლი და ზევიდან წვრილი ტკბილი კვერები წაეყარა, რომელიც გზაზედ ეყიდნა ჩვენთვის—ბავშვებისათვის.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიჯდებოდი ოთახში, რომ დედაჩემს არ მოვეკითხე.

—რა ვქნა, კატო სად არის?—ჰკითხა მამაჩემს, რომელიც ის იყო შემოვიდა. აბა, ამის შემდეგ ველარ დავიმალეობოდი და გამოვედი.

—აი, კატოც!—გამაცნო მამაჩემმა მამიდას.

—მოეხვიე, შვილო, მამიდას... სად იყავი აქამდის? განაკერ გაიგე, რომ მამიდა მობრძანდა?

ყველა ამას ისე ამბობდა დედაჩემი, თითქო არაფერია, რომ მამიდა ტეტყურად ლაპარაკობს და არ ეზიზღებოდეს ამისი აქ ყოფნა.

—ოჰო, გასათხოვარი გყოლია, ჩემო რძალო! უთუოდ სწავლას წელს ათავებს; როილზე დაკვრასაც ასწავლით უთუოდ, რასაკვირველია, ყველაფერს ასწავლით! აბა, რას დააყენებთ ისე! ეტყობა ძალიან მორცხვი გყავთ, ჩემო რძალო, სულ ჩუმად არის.

ჩემი სიჩუმე მორცხვობად ჩასთვალა.

— კატო და მორცხვი? რა სათქმელია! — გაიცინა მამაჩემმა. — ჯერ არ გაგიცენია, ჩემო ბარბარე! როცა გაიცნობ, ეგრე აღარ იტყვი; აბა, ვინძლო შეიყვარო — მე მინდა რომ ერთმანეთს ძალიან დაუახლოვდეთ და შეუთვისდეთ, ბარბარე! — დაუმატა მამაჩემმა.

დედაჩემი მაშინვე მიხვდა ჩემს სიჩუმეს და სრულებით სხვა ლაპარაკი დაუწყო.

კარგა ღამე გავიდა. საწოლ ოთახში რომ შევედი, დედაჩემი თან შემომყვა. ძალიან ბევრი მელაპარაკა მამიდა ბარბარეზე. საწყალს დიდ წვალებაში გაუტარებია თურმე მთელი თავისი სიცოცხლე. პატარაობაშივე დაობლებულა; დედის აღერსი და მზუნველობა სიყმაწვილიდანვე მოსპობია. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი ნათესაეებს სამადლოდ წაუყვანიათ; იქ მოახლესავით ჰყოლიათ. ძალიან უჯაფავებიათ, ბევრი შიშიე საქმე უკეთებინებიათ; სწავლისათვის ველარ მოუცლევინებიათ. საწყალი დარჩენილა ასე უსწავლელი. გათხოვებითაც უბედურად გათხოვებულა. ქმარი საშინელი ბედოვლათი გამოსდგომია; ყველაფერი მიუყიდ-მოუყიდნია და სიმთვრალეში მომკვდარა. საცოდავი მამიდა დარჩენილა ულუკმაპუროდ, ისევე სხვის ამარა.

მამაჩემმა თურმე დიდხანს არა იცოდა — რა თავის დეიდაშვილისა — თუ როგორა სცხოვრობდა ან რა აწუხებდა. ისიც ხათრით არას ატყობინებდა თავის გაკირვებისას. საცოდავი თურმე წელეებზედ ფეხს იდგამდა მუშაობით, მაგრამ მაინც დიდ სიღატაკეში სცხოვრობდა.

მამაჩემი ხშირად დადიოდა ხოლმე საქმეების გამო სხვა და სხვა ადგილას და ერთხელ იმ სოფელში მოუხდა ყოფნა, სადაც მამიდა სცხოვრობდა. რასაკვირველია, ენახა.

მხოლოდ მაშინ გავგო იმისი დაქვრივება და გაკირვებული ცხოვრება. რაკი მამას არ შეეძლო მუდმივი დახმარება გაეწია ფულით, სთხოვა გადმოსახლებულიყო ჩვენსა. მამიდაც სიხარულით დასთანხმდა და, აი, კიდევ გადმოსახლდა.



— შენ, შეილო, ახლა პატარა აღარა ხარ, — მითხრა ხალხის დედამ, — უნდა გესმოდეს, უსწავლელი რად დარჩა მამიდა. არ უნდა გიკვირდეს არც მაგისი უბრალო ლაპარაკი, არც მაგისი უხერხული მიხვრა-მოხვრა. თავის სიზარმაცით ხომ არ დარჩენილა უსწავლელი; გარემოების ბრალია ყველაფერი, შეილო, და ეცადე არაფერი შეამჩნევინო, რომ არ მოგწონს. მე კი პირველ დანახვაზევე მომეწონა და დარწმუნებულიცა ვარ — დღებივით შევითვისებთ ერთმანეთს და ყველაფერში მხარსაც დამიჭერს.

დედაჩემმა ისეთის წმინდის გულით მიამბო ყველა ეს, რომ უნებლიედ დავემორჩილე მის თხოვნას და სიტყვა მივეცი ჩემს თავს — უთუოდ შევიყვარებდი საწყალ, დაჩაგრულ მამიდა ბარბარეს.

მეორე დღით დედაჩემის თქმას აღარც კი მოუცადე, გავეკანე მამიდასაკენ და მოვახსენე, ჩაი მიირთვი მეთქი, მთელი დღე იმის ოთახში დავალაშე — ვშველოდი თავის ბარგის დალაგებას. ძალიან დავმეგობრდით. მაგრამ ამ მეგობრობამ დიდხანს არ გასტანა. ვერ ვიტანდი იმის ტუტიურ ლაპარაკს და ყველანიჩრად ვცდილობდი მეწყყინებინა მისთვის.

დედამ კი ძალიან შეითვისა. მამიდაც მალე მიხვდა ჩვენის სახლის საქმეს და ძალიან ეხმარებოდა დედას. მე კი თან და თან მძულდებოდა. მეტადრე იმიტომ მძულდა, რომ ჩემ საქმეში ერეოდა და თავისებურის დარიგებით გულს მიწყალებდა. დედა სრულს თავისუფლებას მაძლევდა თამაშობის დროს, გაკვეთილების შემდეგ. საცა მინდოდა, იქ დავრბოდი: ხან საქათმეში შვერბოდი და კვერცხებს გამოვარბენინებდი, ხან სალორეში გოკებს უალერსებდი, ხან სად ვიყავ და ხან სად. მამიდა-კი თავის კუკუაში ნებას არ მაძლევდა — რა ქალის საქმეა ვგრე ხტუნვა და სირბილიო. მეც ამის გამო ვცდილობდი აინუნშიაც არ ჩამეგდო იმისი რჩევა-დარიგება და ხშირად ვაბრაზიანებდი კიდევ. მეტადრე მძულდა, როცა „შეილო“-ს შეძახდა.

ქართული
 საზოგადოებრივი
 განათლების
 საზოგადოება

სალამოთი ერთხელ—როცა მამაჩემი კაი ხნის წინააღმდეგ იყო სხვაგან საქმეების გამო, დედა უქეიფოდ გახდა და თავის ოთახში შევიდა წამოსაწოლად; მე და ჩემი პატარა და კი მამიდა ბარბარეს ჩაგვებარა. მე წიგნს ვკითხულობდი, ჩემი და სურათებიან წიგნსა სინჯავდა. მამიდა ბარბარე კიდევ წინდასა ჰქსოვდა. ალბად სინემე მოჰბეზრდა და მითხრა: ხმა მალღო წაიკითხე, შვილო, მეც ყურს დაგიგდებო.

— ჯერ ერთი—შენი შვილი სულაც არა ვარ, მე დედაჩემის შვილი ვარ მეთქი, — შეუბუზღუნე მე და მეორეც ისა, რომ ეს რუსული წიგნია.

— ქართული იკითხე, შვილო...

— კიდევ, შვილო... ვერ გაიგეთ, რომ მე თქვენი შვილი არა ვარ? — შევყვირე გაბრაზებულმა და წიგნი მაგიდაზე დავანარცხე.

— არა, შვი... ოჰ, ღმერთო, კინალამ კიდევ არ წამომცდა... აღარა, კატო, აღარა, თავს შემოგველოს ჩემი თავი! მაშ, აბა მითარგმნე, რა სწერია მა რუსულ წიგნში?

მე ხმას არ ვიღებდი.

— რა ვქნა, ვერ მითარგმნი, შვილო?

— უჰ, ამაზე მეტი აღარ შემიძლიან! — შევყვირე გაბრაზებულმა და ლამპარს ხელი წამოვავლე მეორე ოთახში გასატანად. — იქ უნდა მეკითხნა.

— უი, დამიდგა თვალები, ე ლამპარი ზედ არ გადიქციო, თუ არ დაგიშლია, ისევ ე სანთელი წაიღეს!..

მე ჩემი არ დავიშალე. ლამპარი მეორე ოთახში გავიტანე, პატარა მრგვალ კორიკა მაგიდაზე დავდგი და კითხვა დავიწყე. მამიდა ბარბარეს კინალამ გული გაუსკდა, ლამპარი რომ იქ დაინახა; ჩემის შიშით ვეღარა მითხრა—რა, მხოლოდ ვიშ-ვიში-ღა დაიწყო. ფურცლის გადაშლის დროს ხელი როგორღაც მომიხვდა და ლამპარი-კი მართლა ზედ გადმოვიქციე. საშინლად შევეკივლე; კაბის წინა კალთა აღმა აიტანა. მამიდა ბარბარე მომვარდა და ქრობა დაუწყო ჩემ კაბას. საწყალმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; პირდაპირ ხელე-



ბით სრესდა ჩემ ტანისამოსს; ბოლოს მოურიდებლად კაბა ზედ შემომამუხრინა და, საცა კი მეკიდა, საშინელის სისწრაფით აქრობდა. როგორც იყო, გააქრო შემოთხრეწილი კაბა,—ისე გააქრო, რომ არათფერი დამშავებია. მხოლოდ შიშის კანკალმა ამიტანა და გული ვერ მომებრუნებინა. ამ დროს მამაჩემიც მოსულიყო; შეშინებულ-დაღლილი ბარბარე მეხვეოდა და შეუბნებოდა:

— ხომ არათფერი გტკივა, ჩემო მარგალიტო, ჩემო სიცოცხლე!

ამ ლაპარაკ-აღერსში მამაჩემიც შემოვიდა; ყველაფერი ჩუმად, ჩურჩულით შეატყობინა მამიდამ, რომ დედაჩემს არ გაეგონა და არ შეჭმინებოდა.

— ახლა როგორა ხარ, — გენაცვალოს მამა, შვილო? — მეკითხებოდა შეშინებული მამა.

მე შერცხვენილ-შეშინებული ლაპარაკს ველარ ვახერხებდი და ისე გატრუნული ვიდექი.

— ენაცვალოს მამიდა, ახლა აღარა უშავს-რა, მადლობა ღმერთსა, შშვიდობით გადარჩა. მაგრამ მე ვარ დამნაშავე, მე! ვერ უგდებ ყური რიგიანად და ლამპარი ამას ვანდე. ღვთის მადლით, არა დაშავებია რა, მხოლოდ შეშინდა!.. — და თან დამწვარ კაბის ზედატანი უნდა გაეხსნა და გაეხადნა ჩემთვის, რომ მეორე ჩამეცვა; მაგრამ რა წამს ხელი დამაკარა, საშინლად შეჭკივლა, თითქო რალაც ეტკინაო. დაიხედა ხელებზედ და თავშეკავებით წაიბუტბუტა, — მგონი ხელები დამწვიაო.

მამიდას მართლა დასწოდა ხელები. რა საშინელი სანახავი იყო მისი ნამუშავარი ხელები! მთლად წითელ ბებერებად იყო ნაქცევი, კანი აღარ ეტყობოდა. მამაჩემმა ისე შეჭყვირა შეშინებულმა, რომ დედაჩემი გულ-გახეთქილი გამოვარდა. მამიდა ყველას გვაშვიდებდა და გვარწმუნებდა, არა მიშავს-რაო.

— მადლობა ღმერთს, რომ ბავშვი გადარჩა ამისთანაგან-საცდელს, თორემ მე რა მიშავს.

თუმცა ასე ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა—საშინლად სტიკოდა და იტანჯებოდა.

— არა, რამ აფიქრებინა ლამპრის აქ გამოტანა! — ეკითხებოდა დედაჩემი. დედა კარგადა ჰგრძნობდა, რომ მე ვიყავი ყველაფერში ღამნაშავე. მაინც მამიდას კრინტიც არ დაუძრავს ჩემ გასამტყუნებლად. პირიქით, სულ თავის თავს ამტყუნებდა. რასაც მე მაშინა ვგრძნობდი, ვერა გზით ვერ გამოსთქვამს ჩემი ენა. სინიღისი მტანჯავდა...

მე კი რა საძაგლად ვექცეოდი, რანაირად დავცინოდი საბრალო მამიდას...

ველარ ავიტანე ამდენი სინიღისის ქენჯნა, მივეარდი, მოვხევიე მამიდას და ქვითინ-სლოკინით ვვებვეწებოდი:

— მაპატივე, მაპატივე, ჩემო მამიდა! ჩემო საყვარელო, ტკბილო მამიდა!

— რა გაქვს საპატიებელი, ჩემო ანგელოზო! განა ღირსი ვარ შენის ცრემლებისა და ბოდისის მოხდისა! გული მოიბრუნე, გენაცვალე, ნუ სტირი ვგრე მწარედა! — და თან მომეხვია, მაგრამ კიდევ შეჰკვილა: ეტყობოდა ძალიან ეტკინა დამწვარი ხელები. მე მოვეხევიე მუხლებზე და გულ-ამოსკვნით ვქვითინებდი. ბოლოს დედაჩემმა ამაყენა და ყველაფერი მათქმევინა. მეც გულახდით უამბე არამც თუ ამ საღამოს მომზადარი ამბავი, არამედ მთლად ჩემი უსამართლო საქციელი მიმიდას წინაშე.

არც დედამ, არც მამამ არ მისაყვედურეს, რაკი ჰხედავდნენ ჩემ გულწრფელ შენანებას. მე-კი მერჩინა — გამჯავრებოდნენ; ახლა უფრო ვიტანჯებოდი.

დედა ძალიან შესწუბდა, თავის თავს ამტყუნებდა და ამბობდა, როგორ ვერ ვხედავდი, თუ რა ცეცხლში ჰყოლია ჩემ ქალს ჩემი მულიო! მამიდა ბევრს მეხვეწა წავსულიყავი და დამეძინა, მაგრამ მე იმ ღამეს იმის ლოგინს არ მოვშორებივარ. მაღ-მაღე უცვლიდი ცივ-ცივ ტილოებს დამწვარ ხელებზე და ვცდილობდი ყოველის ღონისძიებით დამემტკიცებინა მისთვის ჩემი სიყვარული. მისმა ავადმყოფობამ დიდ-

ხანს გასტანა. მე არა ვშორდებოდი არც დღე და არც ღამე იმის ოთახში ვიყავი სულა და უფლიდი, როგორც-კი შეშინდა. საშინლად შეშინდა, ვაი თუ ვერ ვადურჩეს ამ ავადმყოფობასა მეთქი და ხშირად ჩუმი ვტიროდი. მაგრამ მამიდა უკეთ შეიქმნა. რაკი უკეთ გახდა, ხშირად უკითხველი წიგნებსა და ყველაფერს უხსნიდი.

— აი, ჩემო სიცოცხლე, რა ბედნიერი ხარ, რომ ღმერთმა გგრეთი დედ-მამა მოგცა! ჰხედავ-რა კარგადა გზრდიან?!... ეჰ, რა ძალიან მოწადინებულნი ვიყავი მეც სწავლასა, მაგრამ დედ-მამა აღრე დამეხოცა, სხვისა კარზე უბედურად გავიზარდე!...

ოჰ, რა კეთილი რამ იყო მამიდა ბარბარე! თავის დღეში არ დამავიწყდება იმისი კეთილი გული.

როცა სულ გასაღდა ამ ავადმყოფობისაგან, კიდევ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა.

საწყალს თავის დღეში არ მოუგონებია ჩემთვის ის საშინელი საღამო.

ძალიან დავმეგობრდით. ისე ძალიან შემეყვარდა, რომ იმისი ღიპარაკი სრულებით აღარ მეჩოთირებოდა. პირიქით, მიყვარდა იმასთან ბასი. იმასაც ძალიან უყვარდი, უყვარდა ჩემი პატარა დაცა, მაგრამ ამბობდა ხოლმე:

— სად კატო და სად ისაო; ისიც კარგია, მაგრამ კატოსთან ვერ მოვაო.

უცნობი.





ტოუერის მზე.

(თარგმანი)



ოუერის*) ციხეში იჯდა იმედ-გადაწყვეტილი, მთლად გაქალაქარაგებული მოხუცი ტყვე. მარიამ დედოფლის მომზრეებმა ამბოხება მოახდინეს დედოფალ ელისაბედის წინააღმდეგ; მემამოხენი სკდილობდნენ ინგლისის დედოფლად დაესვათ მარიამ შოტლანდიელი. მემამო-

ხეთა მეთაური იყო ეს უბედური მოხუცი. ეს კარკად იცოდა ელისაბედმა და ამიტომ ჩააღპობინა ტოუერის ციხეში. მოხუციც თავის დანაშაულს ცხადად ჰგრძნობდა და ამიტომ ხსნასა და შეეღას აღარ ელოდა. გულ-გადაღეული იჯდა საპყრობილეს ოთახში, დღე და ღამ მხოლოდ თავის ძვირფას ოჯახზედ ფიქრობდა, ნატრობდა მის ნახვას, თავისიანების ხმის გაგონებას და აღარ ეგონა, თუ როდისმე კიდევ ეღირსებოდა მათი ნახვა. მოხუცის ლამაზსა და ჭკვიანს ქალს ჰყავდა ქალ-ვაფი: ქერა თმიანი ბიჭი ჯემი და ქალი მერი. ყველასთვის საყვარელნი იყვნენ ეს ბავშვები. გაგიყვებით უყვარდა მოხუცს შვილი შვილები. ხშირად უჯდა ხოლომე მოხუცს მუხლებზედ პატარა მერი, ეალერსებოდა, იკრავდა გულში და უგდებდა ყურს, როდესაც ის ხარივით წკრიალა ხმით მღეროდა შოტლანდიურ სიმღერას. ოპ, ნეტა როგორმე შე-

*) ტოუერი—ციხე-სიმაგრე, რომელიც ააშენა ვილჰელმ დამპყრობელმა მდინარე თემზაზედ; ციხე-სიმაგრეც იყო და საპატიმროც პატიმართათვის.

მედლოს ჩემი სამშობლო მხარეს დანახვა, საყვარელ მკვანის თვალის მოკვრა, ძვირფას მერის გულში ჩაკონება და მის სიმღერის გაგონებაო! მაგრამ ნატვრა ნატვრადა რჩებოდა, მხოლოდ სიზმარში ჰხედავდა თავისიანებს, ამ სიზმრებს უამბობდა ხოლმე ციხის ზედამხედველის პატარა ქალს ჯოისს, რომელსაც ძალიან უყვარდა მოხუცი პატიმარი. ჯოისი სთხოვდა მამას, ნება მომეცი ხანდახან შევიდე პატიმართან ოთახშიო.

— მამა, თუ გინდა, მოხუცთან ერთად მეც დამკეტე ოთახში, არ მეშინიან... ეუბნებოდა მამას.

მამაც უსრულებდა თხოვნას. პატარა ქალი ჯოისი და დავით მაკ-ლახანი (ასე ერქვა პატიმარს) გულითადი მეგობრები შეიქმნენ. ხან და ხან ჯოისი შევიდოდა მოხუცთან, ხელსაქმესაც თან წაიღებდა, თან საკმობდა და თან გულ-მოდგინედ უგდებდა ყურს მოხუცს, რომელიც უამბობდა შეილი-შვილების ამბავსა. მოხუცი პატარა ქალს მზეს ეძახდა და იმის დანახვა ისე ახარებდა, როგორც ჩვენ გვახარებს ბრწყინვალე მზის დანახვა. ერთხელ ბავშვი ავიდ გახდა, მთელი კვირა იწვა, შვიდი დღე მოხუცს საუკუნედ ეჩვენა; როდესაც მორჩა ბავშვი და მოხუცთან შევიდა, გახარებული მოხუცი შესცქეროდა პატარა მეგობარს და ვერ სძლებოდა მის ყურებით.

— ჩემო მზეო, — ეუბნებოდა მოხუცი, — უშენოდ სიბნელით იყო აქაურობა მოცული, — მაგოდენა ხანი ნურასოდეს ნუ დამტოვებ მარტოდ!... ნახე ეს ყვავილი, შენ რომ გამომიგზავნე, შევინახე, შენ მაგივრად ყოველ დღე ამას შევცქეროდი, მეგონა, შენა გხედავ მეთქი, შენთან ვლაპარაკობ, შენა ხარ ჩემთან ახლო, ახლო მეთქი... მაგრამ ყვავილებიც ხომ უმზეოდ არა ჰყვავიან, შენ ხომ ჩემი მზე ხარ. არა, ჩემო თვალის ჩინო, ამოდენა ხანი აღარ დამტოვო... უშენობამ ძალიან დამალონა!

— ნაავადმყოფარივით გამოიყურები, მეტად მოწყენილი

სახე გაქვს!..—უთხრა პატარამ და მის ტლანქ, დაწოკუნულ ხელებს მოჰხვია თავისი პატარა ხელები.—ოჰ, ნეტა დიდებულ დედოფლის მაგივრად მე ვიყო, მაშინვე გაგანთავისუფლებდი და გაგაზაფნიდი ჯემთანა და მერთან!

— დიად, კარგია დედოფლობა, ვისთვისაც მოინდომებ სიკეთეს, მალე აასრულებ, — სთქვა მოხუცმა...

— იქნება, დედოფალმა რომ იცოდეს შენი აქ ყოფნა, თითონვე მოვიდეს და გაგათავისუფლოს...

— იცის, შეილო, როგორ არ იცის!... — სთქვა ნაღვლიანად პატიმარმა.

— ის ხომ არ იცის, რანაირად ნაღვლობ შეილი-შვილებსა! რომ შეიძლოს ვინმემ და უამბოს დედოფალს შენი დარდი?!

— არც მაშინ გამათავისუფლებს! — ამოოხვრით წაიბუტბუტა მოხუცმა.

— განა დედოფალი კეთილი არ არის? — გაკვირვებით შეეკითხა ჯოისი; — თავის ბავშვურის გულუბრყვილობით ღრმად დარწმუნებული იყო, რომ დედოფალი მოწყალეა და კეთილი.

— კეთილია მხოლოდ მათთვის, ვინც სიმართლით და კეთილ-სინილისიერად ემსახურება... — უპასუხა დავითმა და აღერსით გადაუსვა თავზე ხელი: მე-კი, მე მისი ერთგული არ ვიყავი, იმიტომ რომ ჩემი დედოფალი არ იყო: მე უბედურ მარიამ დედოფლის ერთგული ვიყავი... მართლა, იცი რამ იმ დედოფლისა?

— ჰო, — სთქვა ჩუმიად პატარამ, — მაგრამ მე ნება არა მაქვს ვსთქვა რამე; მამამ ამიკრძალა, მისი სახელი არ უნდა ვახსენო. საწყალი დედოფალი! მეტად ლამაზი თურმე იყო!

— დიად, თან კკვიანი და კეთილიც! — დაადასტურა სახე-გაბრწყინებულმა მოხუცმა, რომელმაც ბევრი სხვა და სხვა ამბავი იცოდა შოტლანდიის მშვენიერ დედოფლის თავგადასავალისა.

ჯოის მეტად უყვარდა მოხუცის საუბრის მოსმენა. მან უკვე დაიწყო ტად უკვირდა, როგორ დასაჯა კეთილმა დედოფალმა ელისაბედმა იმისთანა სასტიკის სიკვდილით მარიამ დედოფალიო.

ხშირად ფიქრობდა პატარა ქალი მოხუცზე, მის შვილი-შვილებზე: ჯემსა და მერზე. მართო რომ რჩებოდნენ მამა და შვილი, ჯოისი უამბობდა ხოლმე მამას უბედურ მოხუცის ამბებსა. ერთხელ ჰკითხა:

— საყვარელო მამა, კეთილმა დედოფალმა ელისაბედმა რომ იცოდეს, რა უბედურია ეს შოტლანდიელი მოხუცი, დარწმუნებული ვარ, გაათავისუფლებდა!

ბავშვის სიტყვებზე მამას მხოლოდ ღიმილი მოსდიოდა...

მამამ პატარა ქალს მიუაღერსა, აკოცა მის აბრეშუმივით რბილს კულულებს და უთხრა:

— შენ რომ სცადო როდისმე და სთხოვო დედოფალს მაგ საწყალ მოხუცისთვის, როგორა გგონია, რა პასუხს მოგცემს?

— არც ნახვა შეიძლება დედოფლისა და არც ლაპარაკი მასთან, — მწუხარებით სთქვა ჯოისმა.

— მართალს ამბობ, შვილო, — უთხრა მამამ. — ჩვენისთანა ხალხისთვის სადა სცალიან.

იმ ღამეს ჯოისს ესიზმრა, ვითომ დედოფალს უამბო მოხუცის დავით მაკ-ლახანის გარემოება, ვითომ დედოფალმა მოწყალება მოიღო და დაჰპირდა პატიებას.

ჯოისს გამოეღვიძა და მეტად ეწყინა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო, მაგრამ ასეთი სიზმარი მაინც მოეწონა: ამნაირი სიზმარი ხომ იშვიათად ესიზმრება ადამიანსაო.

II

დრო გადიოდა. ტოუერის საპყრობილეში ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. მხოლოდ მოხუცი პატიმარი დღე და დღე სუსტდებოდა და ხდებოდა, პატარა ჯოისი სულით და გულით ზრუნავდა ძვირფას მეგობრისთვის... ერ-



თხელ გაეარდა ხმა, რომ დედოფალი თავის ამალით ვიკრობდა ტოუერში მოსვლასაო. საპატიმროში მზადება იწყეს დასახვედრად, ყველას აღელვება ეტყობოდა. მაგრამ ყველაზე მეტად დელაედა პატარა ჯოისი...

— ხვალ მობრძანდება დედოფალი, პირის-პირ ვნახავ... — ფიქრობდა ჯოისი.

— უმკველად უნდა ვთხოვო ჩემ მოხუც მეგობრის გათავისუფლება. მგონი გავბედავ, ისე ყოჩაღად ვთხოვ, როგორც სიზმარში! მაგრამ, ეჰ, სიზმარში ხომ უფრო ადვილია თხოვნა, ვიდრე ცხადლივ...

ამ ფიქრებით ბავშვს ჩაეძინა. რომ გამოიღვიძა, მზე უკვე ამოსულიყო. მისი სხივები საამურად ბრკყვიანავდა მდინარე თემზის ლურჯ ტალღებში, მისის ოთახის ფანჯრიდან მოსჩანდა მოკრიალებული ლაქვარდი ცა. შუა დღე იყო; მდინარეზე გამოჩნდა ყვავილებით საუცხოოდ მორთული საქეფო ბარკასი, მომავალი ტოუერისაკენ. შიგ იჯდა დედოფალი ელისაბედი, გამოწყობილი ძვირფას ქსოვილის ტანისამოსში, შემკობილი ძვირფასისავე თვალმარგალიტით; გარს ეხვივნენ დიდებულნი დარბაისელნი, სეფე-კაცნი და სეფე-ქალნი, თან ახლდა ამალა. ბარკასზე განუწყვეტლივ უკრავდა მუსიკა.

მდინარის ნაპირი დიდებულად იყო შემკული ყვავილებით და ბაირალებით; ნაპირზე ელოდნენ დედოფალს: ქალაქის დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ციხის უმფროსი და მრავალნი მოქალაქენი. ბარკასი რომ მოუახლოვდა ნაპირს, ნიშნად მოსვლისა, საყვირები დაუკრეს. დედოფალი მშვენიერ გუნებაზე იყო. გადმოვიდა ნაპირად; კაბის უშველებელი ბოლო ეჭირა ექვს პაეს, დიდებულთა ჩამომავალთა. მოდიოდა დედოფალი დინჯად და ამაყად, მშვენიერს სახეზე ღიმი უკრთოდა, აქეთ იქით იხედებოდა და ხალხს სალამს აძლევდა. მარჯვნივ ედგა გრაფი ესკესი, მარცხნივ—ვეზირი ლორდ ბერლგი. შვეიდნენ ტოუერში. დედოფალი ხალიჩით დაფენილს კიბეზე რომ აჯიოდა, ყურადღება მიაქცია პატარა ბავშვს, რომელიც მორცხვად უახლოვდებოდა.

— ვინ არის ეს ბავშვი, აქ ვინ შემოიყვანა? — ჰკითხა ღედლოფალმა ციხის უფროსსა.

— არ ვიცი, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა შემკრთალმა უმფროსმა და ანიშნა თავის ხელქვეითებს, გაიყვანეთ ბავშვიო.

— არა, თავი დაანებეთ! ვგონებ უნდა მითხრას რამე... ნუ დაუშლით! — ღედლოფალმა დაუძახა ჯოისს. მიუახლოვდა პატარა, დაიჩოქა მის წინ და ხელზე აკოცა.

— რა გინდა, პატარავ? — ჰკითხა ღედლოფალმა.

— საყვარელო ღედლოფალო — გაბედვით დაიწყო ჯოისმა — ვბედავ და გთხოვთ...

— სთქვი, ნუ გრცხვენინან: ჩემი ნუ გეშინიან, — გაამხნევა ღედლოფალმა.

— არა, არ მეშინიან, — მიუგო ღიმილით გამხნევებულმა პატარამ... ღედლოფალმა ანიშნა, რომ ყველანი მოჰშორებოდნენ, მარტო დაეტოვებინათ.

III

— საყვარელო ღედლოფალო, — წრფელის ხმით და გულახდით დაიწყო პატარამ: აქ არის მოხუცი პატიმარი, რომელიც ძალიან მიყვარს... ავადმყოფია და შეტად ნაღვლობს... რომ იცოდეთ, რა უბედურია, დარწმუნებული ვარ, აპატიებდით... ძალიან უნდა საცოდავს შვილი-შვილების ნახვა. ძალიან, ძალიან მოხუცებულია, თმა სულ გათეთრებული აქვს. ერთხელ სიზმარში გთხოვეთ, რომ გეპატიებინათ და გაგენთავისუფლებინათ მოხუცი; თქვენ ისეთი გულკეთილობა გამოიჩინეთ, რომ დაჰპირდით... და აი, რომ მობრძანდით აქა, გადავწყვიტე მეთხოვა ისევე, როგორც სიზმარში გთხოვეთ... მაგრამ ახლა უფრო მეძნელება და მრცხვენინან, სიზმარში-კი არა მრცხვენოდა!...

ყველა ეს სთქვა ჯოისმა სწრაფად, მაგრამ, რომ გაათავა ლაპარაკი, უცებ ჩაფიქრდა, წარმოიდგინა, სად იყო, ვის ელაპარაკებოდა, შეკრთა და ტირილი წასკდა...

დედოფალზე საშინლად იმოქმედა ამ სურათმა და აღიშინებდა დაიხარა და პატარას თავზე ხელი დაადო.

— აბა, მიაშბე, კიდევ რა იცი შენ მეგობარზე, ყველაფერი მიაშბე, რა ჰქვიან, რად არის დაპატიმრებული?

— პატიმარს ჰქვიან დავით მაკ-ლახანი, შოტლანდიის დედოფლისთვის იბრძოდა თურმე... — გულუბრყვილოდ წამოიძახა პატარამ და თან ცრემლები მოიწმინდა.

ამ სახელის გაგონებაზე დედოფლის სახეზე აღიბეჭდა სასტიკი გამომეტყველება, განრისხებული მოტრიალდა, თითქოს აღარაფრის გაგონება არა ჰსურსო... მაგრამ უმანკო ბავშვის ღმობიერმა თვალებმა და მოწყენილმა სახემ აუჩუყა დედოფალს გული... ერთის მხრივ იდგა ქვეყნის მბრძანებელი, მეორეს მხრივ — მუხლ-მოდრეკილი პატარა არარაობა და სთხოვდა სხვისთვის სიცოცხლის მინიჭებას... დედოფალი ერთ წამს ჩაფიქრდა: გააკვირვა ამ განსხვავებამ.

მისი სახე ისევ გაბრწყინდა და დედოფალმა აღერსიანად გაიღიმა ..

— მე თითონ ვნახავ მოხუცს... ადექი, პატარავ! იმედი გქონდეს, დედოფალს უყვარს თავისი ხალხი და სცდილობს დედობა გაუწიოს. შენ რაღა გქვიან?

— მე, ჯოისი, — უპასუხა ღიმილით ბავშვმა, — მაგრამ პატიმარი მზეს მეძახის...

— სწორედ კარგი სახელი დაურქმევია, — უთხრა დედოფალმა; — მართლაც რომ მზესა ჰგევხარ...

დედოფალმა მოიხმო ციხის უმფროსი და გამოუცხადა, მსურს ვნახო ტყვე მაკ-ლახანიო.

— ეს ბავშვი მთხოვს ამისა, — სთქვა მან, — ვნახოთ, იქნება ეშველოს რამე.. მერე უბრძანა მილორდ ბერლვის მოემზადებინა ბრძანების ქალაღდი, რომელშიაც მოხსენებული იქნებოდა დედოფლის უმაღლესი წყალობა.

— გასწი ბავშვო, ახარე მოხუცს, რომ დედოფალმა გაპატია დანაშაულითქო და თან წამოიყვანე...

— დღეს დიდებული დღეა, მეც სულით და მსურს ყველასთვის სიკეთე და მოწყალება!

დედოფალი ჩაფიქრდა. ციხის უფროსმა შემოიყვანა მაკ-ლახანი; მას მოსდევდა ხელჩაკიდებული ჯოისი... მათმა შემოსვლამ დედოფალი გამოარკვია.

პატიმარი და ჯოისი მიუახლოვდნენ დედოფალს, დაიჩოქეს მის წინ, ბავშვი ხელს არ უშვებდა მოხუცს, თითქოს ცდილობდა მით მოხუცის გამხნევებას.

მოხუცის დანახვაზე დედოფალს თვალ-წინ წარმოუდგა წარსული და უცებ სახე მოეღრუბლა. სასტიკად გადაჰხედა მოხუცს. მერე მიუბრუნდა და აკანკალებულის ხმით უთხრა:— განთავისუფლებ და ვივიწყებ წარსულ დანაშაულს ამ კეთილის ბავშვის თხოვნით, ამის გაბედულ ქომაგობისათვის, შენს უზომო ცრემლთა დენისათვის, შვილი-შვილების სიყვარულისათვის, მაგრამ უფრო ამ უმანკო მზის გულისათვის, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დედოფალი უნდა იყოს მხოლოდ კეთილი და მოწყალე. მადლობაც უნდა მაგას გადაუხადო.

მოხუცის დამშკვნარ სახეზე ჩამონადენი ცრემლი და სიხარულით გაბრწყინებული სახე ჯოისისა ცხადად ჰმოწმობდა, რა დიდი მადლობლები იყვნენ დედოფლისა ორივენი.

დედოფალი თავის ამალით გაემგზავრა: ბედნიერად სთვლიდა თავსა, რომ ასეთი დიდებული წყალობა მოიღო და კმაყოფილებით იღიმებოდა.


ჯოისმა წასჩურჩულა მოხუცს:

— მართალს არ გეუბნებოდი: რომიცოდეს დედოფალმა, როგორა სწუხარ შვილი-შვილებისთვის, გაპატიებს მეთქი?

გახარებული მოხუცი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ღმერთი იყოს შენი და დედოფლის წყალობელი, ჩემო მზეო!...

ასე გათავისუფლდა მოხუცი მაკ-ლახანი და დაბრუნდა საყვარელ სამშობლოში.



ს ი ზ მ ა რ ა .

ხალხური ზღაპარი

(დახასრული)

III



ეუსვენებლივ
მიდის სიზმარა,
წინ ერთი კაცი
შემოეყარა,
რომელიც მედგრად
მიწასა ჰხნავდა
და პურის ნაცვლად
ბელტებს ჰყლაპავდა.

— ძნელ საქმეს სჩადი,

კაცო, რას შვრები?

შენ ხარ, ძმობილო,

სწორედ საქები!

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?

მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია ის, რომ სიზმარამ

ერთი ხელმწიფის ასული

იმ დღეს შეირთო ცოლადა,
 აწ, დასაველეთის მეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— თვით ვარ სიზმარა,
 შემწედ მყავს ღმერთი.
 ძმად გავიფიცნეთ,
 შემომიერთდი!

*
 * *

წავიდნენ. ბევრი იარეს ტყე-ღრე.
 მზე დედამიწის სწვავდა ბრუკავდა.
 გზაზე შენიშნეს, რომ ერთი კაცი
 ზღვის პირად იჯდა, ტალღებსა სთქავდა.

— ძნელ საქმეს სჩადი;
 ამას რას შვრები;
 შენ ხარ, ძმობილო
 სწორედ საქები.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?
 მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?
 — ძნელია ის, რომ სიზმარამ

ერთი ხელმწიფის ასული
 იმ დღეს შეირთო ცოლადა,
 აწ დასაველეთის მეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— თვით ვარ სიზმარა,
 შემწედ მყავს ღმერთი.
 ძმად გავიფიცნეთ,
 შემოგვიერთდი.

*
 * *

წავიდნენ სამნი და ნახეს მინდვრად,
 რომ ერთი კაცი მაყრულს მღეროდა,
 ფეხთ შემოგვრა წისკილის ქვები

და მსწრაფლ გარბოდა, კურდღელს იკერდა:

— ძნელს საქმეს სჩადი;

კაცო, რას შერები?

შენ ხარ, ძმობილო,

სწორედ საქები.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?

მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

--- აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია ის, რომ სიზმარამ

ერთი ხელმწიფის ასული

იმ დღეს შეირთო ცოლადა;

აწ დასაველეთის მეფესთან

გადის საომრად-ბრძოლადა.

— შე ვარ სიზმარა,

მაშ, თუ გწამს ღმერთი,

ძმად გავიფიცნეთ,

შემოგვიერთდი!..

* * *

წავიდნენ ოთხნი. ნახეს სხვა კაცი:

ყური დაედო დედამიწაზე

და თან აღვსილი ბრაზით, ბრძანებით

ლაპარაკობდა მალაღსა ხმაზე.

გაჰკვირდა ყველა.

— კაცო, რას შერები?

— ჭვესკნელს იბრძვიან

ქიანქველები:

ხმარობენ თოფსა,

ხმაღსა და ხანჯალს;

მე-კი ვაშველებ,

ვაძლევ სამართალს.

— უჰ, გაგონილა?

ძნელს საქმეს შერები.

მართლაც, ძმობილო,
 რომ ხარ საქმები.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?
 მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია, ის რომ სიზმარამ
 ერთი ხელმწიფის ასული
 იმ დღეს შეირთო ცოლადა;
 აწ დასავლეთის შეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— თვით ვარ სიზმარა,
 შემწედ მყავს ღმერთი.
 ძმად გავიფიციწეთ...
 შემოგვიერთდი.

*
 *

წავიდნენ ხუთნი. იარეს ბევრი.
 ცას უკვე ბინდი ეპარებოდა.
 ნახეს, ერთ კაცსა ბასრი ისარი
 ცად ანატყორცნა... და შესცქეროდა.

ჰკითხეს სუყველამ:

— რას შეჰყურებო?

ხომ არ გსურს, კაცო,
 ცას აეწებო?

— ეს სამი დღეა და სამი ღამე
 შეილდი მოვსწიე, ცისკენ გავკარი
 და აგერ ეხლა მხოლოდ დაბრუნდა
 ცად ანატყორცი იგი ისარი.

— ძნელ საქმეს სჩადი,
 ღმერთს გეფიცები:
 სწორედ რომ, კაცო,
 შენ ხარ საქმები.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?
 მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია ის, რომ სიზმარამ
 ერთი ხელმწიფის ასული
 იმ დღეს შეირთო კოლადა.
 აწ დასავლეთის მეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— მე ვარ სიზმარა,
 მე ვარ იმედი;
 ძმად გავიფიცნეთ:
 შემოგვიერთდი.

* *

წავიდნენ ექვსნი.
 ცეკვავენ, ხტიან,
 მიდიან შორს... შორს...
 მიიმღერიან.

ნახეს კაცი მიჰპარვია,
 მტრედებს აძრობს ჩუმად ფრთებსა:
 ერთის ფრთასა—მეორესა, მეორისას—მესამესა
 შეცვლით, მალვით უკეთებსა.

მტრედები კვალად
 დაპლულუნებენ,
 არა ესმით-რა,
 ვერას იგებენ.

— ძნელ საქმეს სჩადია;
 კაცო, რას შერები?
 შენ ხარ, ძმობილო,
 სწორედ საქები!..

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?
 მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია ის, რომ სიზმარამ
 ერთი ხელმწიფის ასული
 იმ დღეს შეირთო ცოლადა:
 აწ დასავლეთის მეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— თვით ვარ სიზმარა,
 მეც მწყალობს ბედი;
 ძმად გავიფიცნეთ,
 შემოგვიერთდი.

* *

წავიდნენ შვიდნი,
 ტკბილად, შვებითა,—
 მაგრამ-კი დარჩნენ
 გაკვირვებითა:

ხახეს, ერთს მღვდელს ეკლესია
 აეკიდნა და დაჰქონდა:
 ხან დასდგამდა, ხან სწირავდა,
 გაჰქონდა და გამოჰქონდა.

— ძნელ საქმეს სჩადი;
 კაცო, რას შერები?
 შენ ხარ, ძმობილო,
 სწორედ საქები.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა?
 მე ვიცი ძნელი სულ სხვა რამ.

— აბა, რა იცი ისეთი?

— ძნელია ის, რომ სიზმარამ
 ერთი ხელმწიფის ასული
 შეირთო იმ დღეს ცოლადა;
 აწ დასავლეთის მეფესთან
 გადის საომრად-ბრძოლადა.

— მე ვარ სიზმარა,
 მე ვარ იმედი.

წამო, შენც ჩვენთან
 შემოგვიერთდი.

IV

წავიდნენ რვანი.
 გავიდა ხანი.

ბოლოს მიადგნენ სადგურს ახალსა,
 დასავლეთისა ხელმწიფის სახლსა
 და ცოლად სთხოვეს მეფესა ქალი.
 — ჯერედ გამოგცდით, უთხრა მეფემა,
 რა კაცები ხართ, ვისა აქვს ძალი...
 სამ დღეს ხაბაზებს პურს ვაცხოზინებ;
 თუ ერთ დღეს შესქამთ, იჯობებთ სვავებს;
 მაშინ მოგცემთ ქალს, და თუ არა და
 დაგაყრევინებთ სუყველას თავებს.
 — არიქა! უთხრეს ბელტი-ყლაპიას:
 კაცო, თუ იმდენ ბელტებს ჰყლაპავდი,
 ამ გამტკიცულ პურს როგორ ვერ შესქამ.
 გამომცხვარს პურსა
 მისდგა ბელტია:
 ერთი ნატეხიც
 არ დარჩენია.

— კარგი, ეხლა თუ ჩემს ექვს ურმიანს
 ქვევრს დასცლით სავსეს ღვინით ერთ სმაზე,
 მაშინ მოგცემთ ქალს. უკეთუ ვერა, —
 ყველას დაგკიდებთ სახრჩობელაზე.
 — აბა, შენ ეი! ძმავ, ზღვა-ხვრეპიავ,
 ვაჩვენოთ ძალა მეფე-ბატონსა.
 თუ-კი ხვრეპავდი იმ მლაშე წყალსა,
 ღვინოს ვერ დაღევ — უფლის მირონსა?!..
 მისდგა ხვრეპია:
 იჩინა ძალა,

და ერთ წუთს ქვევრი
 სულ გამოსცალა

— მაშ, კარგი ეხლა სხვა მოვიგონოთ.
 ადგილი ვიცი ძნელი სავალი.
 გავგზავნოთ კაცნი, — ორივე შბრიდან
 მოვატანიანოთ სურებით წყალი.

თუ თქვენმა კაცმა
 ჩემსას მოასწროს,
 მაშინ ქალს მოგცემთ
 და ჩემს სამკვიდროს.

— კაცო! იმ სისხო წისქვილის ქვები
 ისე ლალად რომ ფეხებზე გება,
 მაშ, ნუ თუ ეხლა ამ სანაძლეოს
 ველარ მოვიგებთ?... გაგვიპირდება?..

*
 *

წავიდნენ ორნი. მეფის კაცს უსწრობს,
 წისქვილის ქვებსა ფეხით არ იხდის.
 მეფისა კაცი ჩამორჩა უკან
 ქვებიანი-კი არ სცბრება, მირბის!..

— მოიცა! უთხრა მეფისა კაცმა:
 მო, შევისვენოთ მაინც ერთხელა;
 რა გეჩქარება, შე კაი კაცო?
 თავს რად ვიხოცავთ? ვიაროთ ნელა.

*
 *

ქვებიანი მართლაც შედგა,
 მეფის კაცსა დაუჯერა;
 დასხდნენ, ცოტა ისადილეს,
 შემოსძახეს მათ სიმღერა.
 ჰამის დროსა მეფის კაცმა
 ცუდი ხერხი მოიხმარა:
 ბანგი ისე... დააძინა,
 თვით წავიდა ფეხით ჩქარა

და ორი გზის მან სავალი
 უკვე დიდი გაიარა;
 რა ჭურჭელი წყლით აავსო
 გამოიქცა, ხარობს, ფრინავს;
 ქვებიანმა-კი რა იცის?
 მას საბრალოს ღრმადი სძინავს.

*
 * *

დაინახეს მეფის კაცი
 იმ წყაროდან მომავალი.
 სთქვეს თუ: ჩვენი რაღა იქმნა?
 რად არა სჩანს ამდენ ხანი?
 მსწრაფლ მოიხმეს მათ მეისრე.
 უთხრეს, იყავ გამბედავი:
 თუ გვიშველი, შენ გვიშველი,
 გადასტყორცნე შორს ისარი.
 მეისრემაც შვილდს მოსწია,
 მიანება ლამზსა თავი:
 და ისარმა სრიალითა
 გაღირბინა მთა და ბარი.
 ქვიან კაცსა ფეხს ეკვეთა
 დაამსხვრია ქვა მაგარი.
 გააღვიძა... ზე წამოდგა
 მსწრაფლ სიზმარას შეგობარი.
 რა შეიტყო, მუხანათმა
 მოჰკურცხლა და გაეშურა,
 აღარ იცდის, სულ წინ მიჰქრის,
 ფეხის ქუსლი გაახურა.
 წყალს მივიდა... და გაავსო
 ნაკადულის ცვრებით სურა.
 არ დახანდა... მეფის კაცსა
 გაუსწრო და მიდის წინა,



და ერთის დღის სავალითა
 მასზე აღრე მოიბინა.

*
 *

ხელმწიფე დარჩა დამარცხებული,
 სიზმარას მისცა კოლად ისული,
 და გაღიხადეს ლხინი ქებული.

მაგრამ მეფე-კი
 თვის კარის კაცებს
 ეუბნებოდა:
 როს დასდგამთ კერძებს,
 იმათ ჯამებში
 ჩაჰყრით საწამლავს,
 ყველა დაჰხოცეთ,
 მიეცით საფლავს.

*
 *

ქიანქველების მოსამართლემა
 მსწრაფლ ყური მოჰკრა ამათ საუბარს,
 და ერთხელ მტრედებს ფრთებს რომ უცვლიდა
 შეატყობინა ყველა მეგობარს.
 ამანაც ჩუმად, ანაზღეულად,
 წარბ-შეუხრელად შესცვალა თეფში,
 სხვები დახოცა... თვითონ გადაჩნენ.
 მტერი ჩავარდა უბედურ დღეში.

*
 *

წამოდგა მეფე
 და სთქვა: ახლა-კი
 მომგვარეთ კაცი
 ცქვიტი, ეშმაკი,
 რომ ჩემი ქალის
 მზითევი ყველა

აიკიდოს და
 არ სკირდეს შველა.

*
 *

— არიქა, ღვდღლო,
 ღვდღლო, გვიშველე,
 თვალს გადავაკრათ
 მეფეს სიბნელე,
 შე კაი კაცო,
 თუ-კი საყდარსა
 დააქანებდი,
 ისე ვით ქარსა,
 ეხლა ღმერთი ზომ
 არ გაგიწყრება?
 შხითევი უფრო
 შჩაბე იქნება.

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ: სუყველაფერსა
 როგორც ბუმბულსა წავიღებ ქედით:
 შხითევის-კი არა, თუ გინდ თქვენც ყველა
 მეფით, სასახლით ზედ დამასხედით.

*
 *

აპკიდეს ღვდღელსა
 დიდი შხითევი;
 და ის-კი როგორც
 გრძნეული დევი
 სდგას ამაყადა,
 უმუხანათო,
 და გაიძახის:
 „კვლავ მოიტათო“!

†

შორჩნენ ყველაფერს. მღერით, მშვიდობით
 ყველა მათგანი დაბრუნდა შინა.



თავ-თავის საქმეს შეუდგნენ ისევ,
 მონახეს კერა, მონახეს ბინა.

*
 * *

რა გაიარეს
 მანძილი გრძელი,
 გავიდა კიდევ
 ათიოდ წელი.
 დაბრუნდა სახლში
 სიზმარა ქველი,
 დაჰხვდა სიმამრი
 იქ უწინდელი;
 შემოცქრილდა
 შვილი-შუქურა,
 მოარბენინა
 ოქროის სურა;
 ოქროსვე ტასტი
 დაუდგა წინა,
 ხელი და პირი
 დააბანინა.
 შემდეგ ცოლები
 მოისვა გვერდით
 ერთი მარცხნით და
 მეორე მარჯვნივ.

— ჩემო ხელმწიფევ, უთხრა სიზმარამ,
 გამხიარულდი... ნუ ხარ მკმუნვარე,
 ერთ მხარეს მიზის მზე-დიდებული,
 მეორე მხარეს — ნათელი მთვარე.

და ეს ვაჟი-კი
 ვარსკვლავი არი.
 ამიხდა, მეფევ,
 ჩემი სიზმარი.
 შენ ამას მთხოვდი?

ერთი მითხარი
 ვით მოგცე ესა?
 ღმერთი არ არიწ!...

* * *

მოეწონა მეფეს სიტყვა,
 მოეხვია... შუბლს აკოცა.
 და თვის ტახტი, თვის სამეფო
 ჩვენს სიზმარას დაულოცა.

ი. გრიშაშვილი.





დიღუზის მაკიეზელი.

(თარგმანი)



ყო აღმოსავლეთის ქ. მოსულს ყველასგან პატივცემული მოხუცი მაჰომედ-ალი. ბევრი იცნობდა და პატივს სცემდა იმა დიდ სიმდიდრისა და დიდ ვაჭრობისათვის მთელ ქვეყნის მხარეებთან. ბევრიც ადიდებდა, როგორც სტუმართ-მოყვარეს და მოწყალეების უხვად გამცემს: იმის სასახლის კარი ღია იყო გაჭირვებულ შწირთათვის, ქვრივ ობოლთა და დავრდომილთათვის; გულ-ნაკლული არავინ რჩებოდა, ყველას ერთნაირის სიხარულით ეგებებოდნენ შინა მოსამსახურენი მაჰომედ-ალისა: ფეხქვეშ ეგებოდნენ მდიდარსა და ღარიბს, უცხო მხარისას და თანამემამულეს. იყვნენ ზოგიერთნი, რომელთაც მაჰომედ-ალი უყვარდათ გამჭრიახ გონიერებისა: სიმართლისა და გულახდილობისათვის. არეულობისა და ომიანობის დროს ხალიფას *) არა ერთხელ და ორხელ მიუწვევია მაჰომედ-ალი დარიგება-რჩევისათვის, და ყოველი რჩევა ამ ბრძენ მოხუცისა იყო გამომხატველი სიმშვიდისა და სიყვარულისა მოყვასთა შორის. მოსულის მცხოვრებნი ისე იფასებდნენ მის სიტყვას, რომ გაჭირვების დროს მიდიოდნენ მასთან და ელოდნენ ერთმანეთს შორის

*) ხალიფა—მმართველი მხარისა. იმ დროს აზიაში (სადაც ახლა სომხეთი, მკორე აზია და ახლანდელი სპარსეთია) იყო რამდენიმე სამეფო, რომლებსაც განაგებდნენ ხალიფანი.

ჩხუბისა და დავიდარაბის გადაწყვეტას. მისი მადლობა მისი
 ყვა ავისა და შფოთის მოყვარულს სიყვარულსა და შერიგე-
 ბის სურვილს აღუძრავდა, დაჩაგრულთ და შეურაცხყოფილთ
 ესარჩლებოდა და იწვევდა მათში შიტევების გრძნობას მო-
 ყვასისადმი.

თუმცა ეს მოხუცი შემკული იყო ყოველის ღირსებით,
 მაინც თავმდაბლად იქცეოდა, არ ამაცობდა ხალხის წინაშე
 თავის სიკეთით და სახელით და ყველა ღირსებას აწერდა
 აღლაპის წყალობას. მაჰომედ-ალის დიდი ბედნიერება და
 იმედი მისი ორი ვაჟიშვილი იყო. როდესაც ვაჟები წამოი-
 ზარდნენ, მამა უკვე მოხუცებული იყო და დედაც აღარა
 ჰყავდათ ცოცხალი.

უფროსი შვილი, სახელად ჯაფარი, იყო ახოვანი, ცეცხ-
 ლის მრფქვეველი თვალები ჰქონდა, რომელთა გამომეტ-
 ყველებაც ამტკიცებდა ყრმის სიმკვირცხლესა და შეუპოვ-
 რობას; ლამაზსა და ჯანლონით სავსე სხეულში გული მარად
 ეამს მღელვარე, დაუდგრომელი ჰფეთქდა და ძლიერი სული
 აღფრთოვანებდა. ბავშვობიდანვე ოცნებობდა საგმირო საქმე-
 ბით ესახელებინა თავი, სცდილობდა ყოველთვის ამხანაგებს
 შორის სამაგალითო ყოფილიყო, როგორც სწავლაში ისე
 თამაშობაში.

უმცროსი შვილი, სახელად ნურედინი, მომღერალი იყო,
 გულკეთილი, მშვიდი, ნაღვლიანის თვალების პატრონი. ამის
 ხასიათი სრულიად ეწინააღმდეგებოდა ძმისას. უფროს ძმას
 უყვარდა იარაღი, განსაცდელი, სიმდიდრე და ლბინი; ნურე-
 დინს კი მოსწონდა: მშვიდი ლამე, როდესაც ცა ვარსკვლავე-
 ბით იყო მოჭედილი და მიღეულ მთვარის წინაშე ნელად
 ჰკრთებოდნენ. უყვარდა დუღუნე მდინარისა და განთიადისას
 ფრინველების გალობა. ხშირად ჩამოვიდოდა ბაღში, დაჯდე-
 ბოდა კუნძზე განმარტობით, მიეცემოდა ხოლმე ოცნებას, მღე-

როდა და ლექსებით აღიდებდა ლეთის სილიადეს და სოფლის საკვირველებას.

ამ ძმების ხასიათის სხვა და სხვაობას ხალხიც გამოსთქვამდა და ახასიათებდა ასე: უფროსი ზაფხულის ბრწყინვალე დამწველ დღესა ჰგავს, უმცროსი კი გვაგონებს მშვიდსა და საამო საღამოს და ეძნელებოდათ იმის გადაწყვეტა, თუ ამ ძმებში რომელი უკეთესი იყო. მოხუც მამას კი ერთგვარად უყვარდა ორივე შვილი: სიამოვნებითა და გულის ძგვრით უყურებდა მათ ზრდა-განვითარებას.

— შე მინდა დიდებული ადამიანი ვიყო, — ხშირად ეტყოდა ხოლმე ჯაფარი მამას და მისი სახე ამაყურად გამოჰხატავდა ძალ-ღონესა და უშიშროებას, თვალები ენთებოდნენ და გაიყურებოდნენ შორს სივრცეში, თითქოს იქ რაღაც ამაღლებული და მომზიბლავი რამ იზიდავდესო.

— ეგ ადვილი არ არის, ჩემო შვილო, — წყნარად უპასუხებდა მამა, უაღერსებდა და უსვამდა ხელს ხუჭუქ თმაზე, — ძნელი არის შეგნება და შეძენა ნამდვილის დიდებისა.

— შე მინდა ვიყო კეთილი, — ამბობდა ნურედინი ბავშობისას, ნაღვლიანად გაიყურებოდა ქუჩაში და, ოცნებით შეპყრობილს, წარმოუდგებოდა მწუხარების აღმძვრელი სურათები. იქ სიციხე პაპანაქებაში, მტვერში და ბულში მიმოდოდნენ მონები თავი-შიშველნი, დაღალულ-დაქანცულნი, მიერეკებოდნენ ბარგ-აკიდებულ ვირებსა და აქლემებსა; მოსამსახურეები მიეშურებოდნენ ბატონების ბრძანების აღსასრულებლად; გაბოროტებული გარბოდნენ ჩადრ-წამოსხმული მანდილოსნები ღარიბ ოჯახისა, რომელთაც კმარ-შვილზე ზრუნვა და ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. იქვე შორი-ახლო მისუსტებული, დაბრანძულ ტანისამოსში გახვეული პატარა მათხოვარი ეძებდა საჩრდილობელს, რომ თავი დაეხსნა მზის ცხარე სხივების წვისაგან, და ნურედინი ამ სურათების დანახვით იტანჯებოდა და უნებურად მათ აუტანელ



ქართული
კრედიტ-ბანკი

მდგომარეობას თავის ცხოვრებას უპირდაპირებდა. სახლში ყველაფრით კმაყოფილი იყო, ქუჩაში კი ხალხი მოუსვენრად ფუსფუსებდა ლუკმა პურისათვის და ბევრსაც, როგორც პატარა მათხოვარს სიცხე და წყურვილი სიცოცხლეს უმოკლებდა. ნურედინი, გულჩათუთქული იმათის უბედურებით, მამას მიაპყრობდა ხოლმე ცრემლით სავსე თვალებს; მამაც ჩუმაღვე მიუხედებოდა გულის თქმის და ჰგზავნიდა ქუჩაში მოსამსახურეს პატარა მათხოვარის მოსაყვანად. მათხოვარს მისცემდნენ ტანთსაცმელს, საკმელ-სასმელს, არიგებდნენ და ამხნეებდნენ ალერსიანის სიტყვით. მათხოვარი იმედით სავსე და მხიარული გამოდიოდა მაჰომედ-ალის სასახლიდან და ადიდებდა ალლაჰს.

როდესაც ნურედინი წამოიზარდა და თავისუფლად შეეძლო აერჩია რომელიმე სასურველი საქმე, ხშირად მიდიოდა ხოლმე ღარიბებთან, უსახლკარო ავადმყოფებთან და სრულს ნეტარებასა გრძნობდა, როდესაც მოხუცებულ ავადმყოფებს და დავრდომილებს უვლიდა. ჰშველოდა ზოგს წამლით, ზოგს კეთილ საიმედო სიტყვით, არ ერ-დებოდა არავითარ გადამდებ სნეულებას და მზად იყო მათთვის სიცოცხლე შეეწირა. მისი თანაგრძნობა და კეთილი სიტყვა აიმედებდა დაჩაგრულებს და ღეთისა და კაცის მომღურავნი ურიგდებოდნენ ცხოვრებას. ქალაქის მცხოვრებნი ხშირად ჰხედავდნენ, რომ შინ დაბრუნებისას მოჰყავდა ხოლმე ღარიბი ან ავადმყოფი; ბავშვები დაინახავდნენ თუ არა შორიდან ნურედინს, მიეგებებოდნენ და დაედევნებოდნენ გაბრწყინებულის სახით და მხიარულის ყიყინით. როდესაც ნურედინი დაკმაყოფილებდა გაჰირვებულს, გამოვიდოდა ბავშვებთან. აირჩევდა ყრუ ადგილს, დაჯდებოდა ძირს, შემოისხავდა ბავშვებს და უამბობდა ზღაპრებს, მღეროდა მათთან ერთად ლექსებს და გალობდა ლოცვებს. ყველაფერს ისე წყნარად და შეუმჩნეველად აკეთებდა, რომ ბევრი ვერც-კი იცნობდა.

თვითონ მისი ძმა ჯაფარიც ძლიერ გაკვირვებული იყო მით, თუ რა სიხარულს ჰპოებს ჩემი უმცროსი ძმა ამგვარ საქმეებშიო.

ასე იზრდებოდნენ ძმები და თუმცა მათი ხასიათი და მისწრაფება სხვა და სხვაობდა, მაინც ძლიერ მეგობრულად ეკიდებოდნენ ერთმანეთს.

ელო შანშიაშვილი

(შემდეგი იქნება)



სხივრება და მოღვაწეობა გრიგოლ

ორბელიანი ს.



თავადი გრიგოლ ზურაბისძე ორბელიანი, ცნობილი მწერალი და გამოჩენილი სამოქალაქო ასპარესზე მოღვაწე გენერალი, ეკუთვნის საქართველოს დიდებულს გვარს. მამა მისი დიმიტრი (იგივე ზურაბ) სიძე იყო მეფე ირაკლი მეორისა— ცოლად ჰყვანდა ელენე ბატონიშვილის ასული ხორეშანა.

ზურაბი კვიციანი და ძველებურად საღმთო წერილზე აღზრდილი კაცი იყო, ხორეშანა—ღვთის მოყვარე და სათნოიანი ადამიანი, რომლის გავლენა ღრმად ჩააჩნდა გულში გრიგოლს ბავშობიდანვე. წელიწადი, რომელსაც აკუთვნებენ გრიგოლის დაბადებას, აქამდის მტკიცედ არ არის გარკვეული. სამხედრო სამსახურის მოწმობით, იგი დაიბადა 1800 წ., ხოლო თანამედროვეთა მოსაზრებით,—1804 წ., დაქვემდებარებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი შევიდა სამსახურში 1814 წ. დარჩა უცოლო და ოჯახის კერის უარყოფით თითქოს შეასრულა დედის აღთქმა, რომ შვილი ბერად აღეზარდა, თუ მისი მეუღლე, სპარსეთში ტყვედ წაყვანილი, სამშობლოში დაბრუნდებოდა. გრიგოლ ორბელიანის სიყმაწვილის დღეებმა განვლეს იმ დროს, როცა საქართველოს სამეფოს წესწყობილება ირღვეოდა და მის ნანგრევებზე რუსეთის მართებლობა ფეხ-აკრეფით თავის გამგეობას ამყარებდა. ბა-



ტონ-ყმობა შეადგენდა საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველს, ეკლესია—განათლების წყაროს, მამაკაპური გადმონაცემი—წარსულთან დამაკავშირებელს ხიდს. დედა უნერვავდა სარწმუნოებ-ს სიყვარულს, შინაურები უამბობდნენ ტფილისზე აღამამადხანის დაცემას, მეფე ირაკლის სახელ განთქმულს ცხოვრებას და საქართველოს უკანასკნელს მწარე დღეებს, 1770 წ. კირიანობის შემოტანას საქართველოში, იმერეთის და სამეგრელოს რუსეთთან შეერთებას, კახეთის ამბოხებას და სხ. ამ გვარის ნაამბობ-ნათქვამით იკვებებოდა გრიგოლის სიყვარულიმამულის გმირებისადმი და ჩასვენებულ წარსულისადმი. წერა-კითხვა შეისწავლა ანჩისხატის დეკანოზთან—ალექსი მესხიშვილთან, იქიდან გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც შეისწავლა ქართული და რუსული ენა. სწავლა გაათავა ჯილდოთი და ჩვიდმეტას წლისა ჩაეწერა იუნკრად. 22 წლისა რომ ვახდა, აფიცრობაც იშოვნა და ქარის ლეკებთან შეტაკებაში მონაწილეობაც მიიღო. შემდეგ იგი განაგრძობს სამხედრო სამსახურს,—დაესწრობა სპარსეთის ომში (1826—1828 წ.) და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვიდრე განსაცდელის გრიგალმა არ გასტყორცნა რუსეთისკენ.

მწერლობის ასპარეზზედაც აღრე გამოვიდა. ერთი საუკეთესო მისი ნაწარმოებთაგანი **სადღეგრძელო** დასწერა 1827 წ. თავის **სადღეგრძელოში** დაგვისურათა სევდიანის ალტაცებით სამშობლოს ისტორიული გმირნი და ბრწყინვალე სევდით შემოსა ძმობის და სიყვარულის ამამაღლებელი სპეტაკი გრძნობა. იგი სამგლოვიარო კილოს აყუჩებს, როცა თავის ქნარის სიმებს სამშობლოსთვის აელერებს.

ჰე, მამულო სასურველო, ვან გახსენოს, რომ მის გულა არ ათრთოლდეს სიხარულის ალტაცებთა აღვსილი?

მისი გული სძგერს უფრო წარსულის მოგონებით და ბუნების სიდიადით, ვიდრე მომავალ სვე-ბედის წარმოდგენით.



საცა უნდა იყოს და რა გაქირებაც უნდა დაატყდეს იგი იწყებს წინაპართა ღვაწლს, სამშობლოს სიყვარულს, ბუნების მშვენიერებას.

ოცდა ხუთს წელიწადს გადაცილებული იყო, როცა მინდასწერა **გამოსალმება**, სადაც კმუნებით აღსავსე პოეტი დაუპირდაპირებს ბუნების სურათს კაცის გულისცემას, ჰპოვებს მათ შორის თანაგრძნობას და მგზავსებას. იგი იწყებს საუცხოვო ოთხტაეპოვანის შედარებით:

ვითა ნამი დილითა ჰბრწყინებულეს ახლად მდიდს ვარდზე,
მარგალიტ-გრემლა გრემლსა ჰსდევს ნიშნად კმუნებისა შენთ ღაწვზე...
სატრფოვ! გმორდები და სიტყვა გერ მიმთვია სთქმელად,
ანუ შენთ გრემლთა სმრობლად, ანუ ჩემ სანუგეკუმბლად!

ლექსი **გამოსალმება** ჰმოწმობს, რომ პოეტი, მიმავალი რუსეთისაკენ, სადაც გაიგზავნა 1831 წ. სამსახურის გამო, რომანტიულის გრძნობით არის შეპყრობილი, დამონავეებული. ამავე გულის ღელვამ ორის წლით აღრე დააწერიინა მუხამბაზი „ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთერალ შენის ეშხით“ და მოუსპო ის ცხოვრების უღარდო სიხარული, რომლითაც აღბეკდილია მისი პირველი (1827 წ.) ლექსი „ანტონს.“ „ჰე კაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე, იმხიარულე, შეეკეც, ილხინე და შეიყვარე.“ კმუნვარების კილო მოიცვამს მთლად მისს არსებას 1832 წლიდან, რომანტიული ოცნება გამეფდება მისს ნაწერებში, გონება-გრძნობა მისი დასტრიალებს ძველს „ივერიის“, „ლომ-გულთა გმირთა“, „ცას მშვენიერსა, ცას მშობლიურსა“. რუსეთის მიყრუებულს ქალაქს ნოვგოროდს იგი სწერს ლექსს **იარალის**, სადაც ჯერ ილტაცებით იხსენიებს „ძველებურს, ჩვენებურს ღბინს“ და შემდეგ დაუმატებს:

დავხატრი მათ, ვანც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა
მსხვეკრბლად,
დავხატრი დროთა, რის აქენდათ ტრფობა მამულისაში კულს
აღბეკდილად...

სწორედ ამ ლექსით (1832 წ.) იწყება ჩვენში პატრიოტული ტული ლირიკა, მამულისადმი სატრფიალო მგონობა. თვით პოეტის ბედის ჩარხისთვის ამ ლექსს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ეს ლექსი დაიწერა (1832 წ.), ტფილისში დაიკირეს იმ საიდუმლო საზოგადოების წევრი, რომელთაც განიძრახეს საქართველოს პოლიტიკური აღდგენა.⁶⁾

მონაწილედ აღიარეს ალექსანდრე ქავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანიც. ნოვგოროდში, სადაც გრიგოლ ორბელიანი მსახურებდა მაშინ, გაჩხრიკეს მისი სადგური, ჩამოართვეს ჩვენება, იცნობდა თუ არა შეთქმულებს და დარწმუნდნენ, რომ იგი არის დამწერი პატრიოტულის ლექსის **იარაღის** და მთარგმნელი დეკაბრისტის რუსის პოეტის რილევის **ნალივიაკოს აღსარებისა**.

„ნალივიაკოს აღსარებას“ იგივე დედა აზრი აშუქებს, რაც „იარაღშია“ გატარებული—მამულისათვის თავის განწირვა. ნალივიაკო იბრძვის მალაოროსიელ ყაზახთა განთავისუფლებისთვის პოლონელთა (ლიახთა) ბატონობისგან. კიევის მონასტერში იგი გაენდობა ბერს და გულახდილად განუზიარებს, რომ სისხლის ღვრა თუმცა დაამძიმებს მისს სულს, მაინც ტვირთულობს ამ საქმეს, რათა სამშობლოს მოუპოვოს თავისუფლება. „იარაღმა“ და „ნალივიაკოს აღსარებამ“, პოლიტიკურის შინაარსით დაკავშირებულმა, გადასწყვიტა გრიგოლ ორბელიანის სვე-ბედი. იგი იცნეს დამნაშავედ და მოაქციეს შეთქმულთა მეშვიდე ჯგუფში. ამით დაენიშნათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრება. გრიგოლ ორბელიანი ჯერ ჩამოიყვანეს ტფილისში, ჩასვეს ავლაბრის ყაზარმებში, სადაც გაატარა სამი თვე. ამ დროს გარდაეცვალა დედა, „ვისგან ნუგეშს მოელოდა“ და მის კუბოს მხოლოდ თანჯრიდან ადევნებდა თვალს. საყვარელ მშობლის სიკვდილით შეწუხებულმა კადევ რამდენიმე დღე დაჰყო დატუსაღებული და

⁶⁾ ნახე ცხოვრება ალექსანდრე ქავჭავაძისა ჟურ. „ნაკადულში“ № 6 1910 წ.

შემდეგ ვამოუშვეს, „ვაების ბქე“ გაუღეს, მიიყვანეს მამის დასა-
რჩელებულს სახლში, გაატარა აქ 28 დღე საქმეების მოსა-
წყობად და ღამით, მთვარის შუქზე, კრემლიანი, დაობლე-
ბული პოეტი ეამბორა დედის საფლავს და გასწია კავკასიის
სამზღვარზე ნავაგინის პოლკში სამსახურის განაგრძობად. მწა-
რე „ოხვრანი“, და კმუნვარება, რომელთაც მოიცვეს პოე-
ტის არსება „გულისა სიღრმით“, როცა იგი ჩამწყვდიეს
„ზღუდეთა შორის“, მოიგონა მან შორს, რიგაში 1835 წ.
და უძღვნა მისი აღწერა ლექსად **ჩემს დას ეფემიას**.

უცებ გრავალში უბედობის დაშქროლა ესრეთ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლისა, ჭფარა ღრუბელთ ქვეშ,
სიტკბოს ფაღლი წარატაცეს მის წვეუელთა ფრთეთ
და დაშტა უფსკრულს ვაგებისს, უმწედ, უნუგემ.

საპყრობილეში— „ზღუდეთა შორის“, სამარეს, სადაც
არ ბრწყინაედა დილის ცისკარი, დღე იყო უნათლო და ღამე
უვარსკვლავო, სიცოცხლე ისე მობეზრდა, რომ სიკვდილს ნა-
ტრობდა, „ვით ცის ნუგეშსა“. ღრმად ჩაიბეჭდა მის სახეზე
უბედური კვალი: „არღა აპყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ
სოფლად, მახვილი გულით ვერ აღჰგლიჯონ შემდეგ სიხა-
რულთ. მხოლოდ მოგონება საყვარელის დის და „წარსულთა
დღეთა“ ამხნევებდა, როგორც „ამშვენებს სიტურფითა ვარ-
დი სამარეს“. უიმედო, სასოება მიხდილი იქამდის, რომ
სოფლის სიმუხთლეთ ათქმევიწებს: „ხვალე არღა მრწამს, ვით
ღამეში მატურა სხივი“, უღროდ დაბერებული პოეტი
გამოვიდა საპყრობილიდან და, თუმცა იხილა „მდინარე იგი,
იგივე მთანი“, „ნიაგ მომფენნი, წალკოტნი, ველნი უწინდელებრ,
ცა ნათლოვანი“, მაინც გული მისი ცხოვრებით აღარ სტკებდა.
დარჩა ნუგეშად და სასიხარულოდ მხოლოდ საყვარელი და
ეფემია, რომელსაც მიჰმართავს სიტყვებით: „დაო სასურველი!
ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ და განმასვენე კვეთებათ-
გან ბოროტ მხვედრისა“.

ორის წლის შემდეგ (1837 წ.) იგი გადაიყვანეს გრუზინსკი გრენადერის პოლკში და აქედან იწყება ახალი ხანა მის ცხოვრებაში. იგი იღებს მონაწილეობას შამილთან ომში, დაინიშნება დაღესტნის უფროსად, შემდეგ ბრიგადის კომანდირად და კასპიის ზღვის პირად დაყენებულ ჯარებისა. როცა შამილი წინადადს დაეცა და დავით ქაჯკვაძის სახლობა ტყვედ წაიყვანა, გრიგოლ ორბელიანი თემირხან შურის მმართველად ითვლებოდა. მან გამართა შამილთან მიწერ-მოწერა და 40,000 მანეთად დაიხსნა თავისი ნათესაობა ტყვეობიდან. 1857 წ. გენერალ-ადიუტანტად დაინიშნა და ერთი წლის შემდეგ გადმოსახლდა ტფილისის საბკოს თავსმჯდომარედ „ნამესტნიკის“ თავად ბარიატინსკის დროს. იგი კავკასიის მართვლის თანამდებობასაც კი ასრულებდა და, ხელმწიფე ალექსანდრე მეორისაგან დაჯილდოებული ანდრია პირველ წოდებულის ორდენით, იგი აღვიდა უმაღლესის წერტილამდე სახელმწიფო სამსახურში.

პოეტი ამავე დროს თავალ-ყურს ადევნებდა ყოველს მხარეს, რაშიაც კი გამოიხატებოდა საზოგადოების ცხოვრება და გონებრივი მისი ინტერესები. იგი იცავს ქართულს ენას, როცა მთავრობამ განიზრახა მისი შეზღუდვა სასწავლებელში; მის გული უცემს ეკკლესიის გაბრწყინებისთვის და უხარის, როცა ბათუმის მხარეს შემოუერთებენ საქართველოს. მან გააცილია საფლავამდის ბევრი გამოჩენილი თანამედროვე და თვით 80 წელიწადს გადაცილებულის ცხოვრობდა მარტოდ მამაპაპეულს სახლში, მოსამსახურე სოლომონის შემყურებელი. სწორდა ნაცნობ-მეგობრებს პოეზიით სავსე წერილებს და დრო გამოშვებით უბრუნდებოდა თავისს მუზას.

გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ჩაწნულია, როგორც დამწერის კერძო ცხოვრების ჩარხის ტრიალი, აგრედვე საზოგადოებრივის ცხოვრების მიმდინარეობა. ახალგაზრდობაში პოეტი დამღერის უფრო თავისს გულისცემას, რომანტიულის ფერადებით შეზავებულს, შემდეგ ნაწარმოებში კი სქარ-

ბობს საერთო პატრიოტული მიდრეკილება. წვრილი ლექსები, როგორც „სამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყრას, მაგრამ ვინ ჰსცნას ვინა სუნავს: ნინა ვარდს თუ ვარდი ნინას,“ გვაგონებენ ალექსანდრე კავკავაძის და ბესიკის მიანერას. ამ გვარივეა მისი **მუხამბაზები**, უდარდელი და სააშიკო ნაწერები: **დიმიტრი ონ—ის დარდები, საათნავას წაბაძვა** და სხვა. პოეტი აქ დამღერის სიყვარულს, ღვინოს, „სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით, ყანწით, აზარფეშებით, დროს გატარებას, მზიარულებას — („დიპლომატო დაპკარ-დაარაკუნეთ“ **მუხამბაზი** 1835 წ.). პირველს ნაწერებში ცოტა მძიმე ენით და უკანასკნელ ხანებში — მახვილის, მოსწრებულის სიტყვით. **მუხამბაზი** 1829 წ. „ნუ მასმევ ღვინოს—უღვინოდ ვარ მთვრალი შენის ეშხით, თვარა მიმუბთლებს და წარმოსთქვამს ენა ყოველსა. .“ შორს არის იმ საუცხოვო სიმარტივისაგან, რომლითაც აღბეჭდილია **მუხამბაზი** 1861 წ.: „გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ, თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ“. ამავე მოსწრებულის კილოთია დაწერილი **მუხამბაზი** 1833 წ. „არავისთვის მე დღეს არა მკალიან, სალომესთან სადილად მეძახიან“. აქამდის ეს ლექსი სუფრულ სიმღერად არის დარჩენილი. გრ. ორბელიანის სატრფიალო ლექსები შესანიშნავია ერთის თავისებურისთვისებით, რომელიც განსაკუთრებით რომანტიულს ბეჭედს ასევამს მის ნაწერებს. როგორც მიმღვეარი რომანტიულის მოძღვრებისა, პოეტი ჰქადაგებს სათნოებას, მოთმინებას და სოფლის სიმუბთლის შეწყნარებას. როგორც რუსი-პოეტი ჟუკოვსკი, იგი ტანჯვას და სიყვარულს აერთებს, აკავშირებს.

„ტანჯვა არს მზრდედა ტრფობისა, დაშურველ ეშხის ცეცხლისა,
 ტანჯვა არს ვაღი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა,“ — ამბობს
 ნ...ს მიძღვნილს ლექსში (1835).

მის შემოკმედებითს ნიქს მეტადრე ის შუქი აბრწყინებს, რომელიც ქვეყნიურ გრძნობას გარდაქმნის ზეციურ



მისწრაფებად, მშვენიერების იდეალად, უზადო მსხვერპლად, საუცხოვოდ აქვს ეს გამაკეთილშობელი გრძნობა ჩართული ლექსში **სალამო გამოსალმებისა**. თვალ-წარშტაცი სურათითა ის სალამო, როდესაც პოეტი ეთხოვება თავისს სატრფოს, მას გაატანს „სულს,“ „გულის ოხვრას,“ „მოსვენებას.“

მშვიდობით! ვინცა დაშატკბე სიგოცხდის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გულა მიკვნესის, სულა სწუხს განშორებითა...

დამწვარი განშორებით პოეტი გააყოლებს „სატრფოს“ თავის ლოცვა-კურთხევას, დამშვიდებულ ცხოვრების მოპოების სურვილს: „მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა.“

სიყვარულის შექმბას და მის თვისების გამორკვევას პოეტი უძღვნის რამდენსამე ლექსს და ყველგან იმ აზრს ადგია, რომ სატრფო ერთსა და იმავე დროს ტანჯვის და სასოების აღმძვრელი უნდა იყოს. ეს ორი გრძნობა ანიჭებს კაცს უსაზღვრო ნეტარებას და ამაღლებს მის კაცურს ბუნებას.

უფრო მეტი სამსახური გაუწია გრ. ორბელიანმა ჩვენს მწერლობას მით, რომ ბუნების მხრივ აღძრული შთაბეჭდილება შემოსა სულის მოძრაობის ბეჭედით, დაახლოვა იგინი და დაამკვიდრა მხატვრობითი დასურათება ჩვენის კეკლუტის ქვეყნისა. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი დასამტკიცებლად იმ შეუდარებელის ტალანტისა, რომელიც გამოიჩინა გრიგოლ ორბელიანმა ბუნებ-ს აღწერაში წარმტაც შედარებით და ებიტეტებით. ავილოთ ლექსი **სალამო გამოსალმებისა**:

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსადმის ვაშს კავკასისა
თავსა ეხვევა ადურსით, ვით ქაღა მამს მოხუცსა!
ბუმბეარაზ მთანა, მდუმარედ ცათამდის აუუღებულა,
ქსხედან ვით დევნი, სმეტაკის ეინულ-გვირგვინით შემკულნი.“

კლდოვანი გვერდები შებურულან შავი ღრუბლებით, რომელნიც ქვეყანას მრისხანებით, ემუქრებიან. „წყალნი, მთით

დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან; თერგობის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. უფრო ძლიერის სიღიადით და მრავალ ფეროვანის კალმით დაგვიხატა ბუნების სურათები თავისს საუკეთესო ნაწერში „სადღეგრძელო ანუ ომის შემდეგ ღამე ღვინი, ერევნის სიახლოვეს“. პოეტი-რომანტიკოსი ჰქარგავს შემოღამების ქამს დამყარებულს სიმშვიდეს, მიჰმართავს მთვარეს, ამ საიდუმლოებით მოკულს შუამდგომელს აქაურს და იქაურს ცხოვრებათა შორის და იტყვის: „აჰა, მთოვარეც ნელიად შეუქსა ვით ნუგეშს მოგვფენს საშვებლად“. ამავე რომანტიულ მიდრეკილებითაა აღნიშნული ვარსკვლავთა მოწოდება და მათი ჩართვა კაცის ბედის წერის მიმოსვლაში. შევხარით „ღამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვარით განათებულსა, სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა.“ დიდებულად არის აღწერილი განთიადი, როცა იღვეა ბინდი ღამისა და ვარსკვლავნი ცაში ჰქრებიან.

„ცისკარმან აღმოსავლეთა ვარდისა ფერად შუქდება,
ცას სიხარული მოჰფიანა და ქვეყანასა შვენება!
აქნთნენ ცეცხლად აღებრავ შორს განბნეულნი დრუბუნნი
ცა მშვენიერობს, ნათლდება, მასა მკვებართთ მხილველნი.“


ამ საუცხოვო განთიადს, როდესაც მოჰქრის დილის ნიავიც და ათასის ხმით მას მიეგებებიან ფრინველნი, პოეტი გაიმსკვალეობა ღვთისადმი მოწიწებით და ქვეყნისადმი ძმურის სიყვარულით. მას ვერ შეუღნია, როგორ შესაძლოა შური და მტრობა, უკვირს: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“ პოეტი სარგებლობს ბუნების სურათებით თავის კაცთმოყვარეობის შეხედულებების გასამტკიცებლად. მას ასულდგმულებს და აფრთოვანებს ერთისა და იმავე აზრის კაცის გულში ჩანერგვა, მისს მისწრაფებას შეადგენს დამყარდეს სოფლად ძმობა და სიყვარული, მამულის ერთგულება, ნიქის თაყვანისცემა, დაჩაგრულთა შეწყნარება. იგი გვამცნობს, რომ სიყვარულის „შუქი აღგვამაღლებს,“ სულით გავგანათლებს და ღმერთს დაგვამზავს: „უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობი-

ლე ჩემთვის შეიქმნეს. * საქართველოს ბუნება პირველადი და დროულ კალმით ხელოვნური ფერადებით აიწერა. იმავე „სადღეგრძელოში,“ სადაც „სასურველს მამულს“ აღტაცებული სიხარულით მივგებება და შეაქებს საქართველოს „ერს გულადს, პურადს, მებრძოლს შავისა ბედისა,“ იგი უძღვნის რამდენსამე ტაეპს მის გარეშე ბუნებისაღ.

სად შთანი უანვის გვირგვინით ზრან ცაღმდე ასუღნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსრფელნი;
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალგაღუწვდენულნი,
სად მონადირე მსდევს ჭიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბულნი.

ადგილ-ადგილ რიტორიულად დაწერილი სადღეგრძელო საუცხოვო ნიმუშია რომანტიულის მიმართულებისა. აქ განხილულია „ძველნი საუკუნენი“, ქველობა და მხნეობა საქართველოს მეფეთა ერთმთავრობის დამამყარებელ ფარნაოზისაგან და ქრისტეს ნათელით განმანათლებელ მირიანისაგან და წყებული ვიდრე დავით „ქალაქთა აღმომცენებელ“, ჯვაროსან თამარი და ქეთევან, სჯულმდებელ ვახტანგ და გმირ ირაკლიმდე აქვე დასურათებულ ბუნების აღწერაში ჩაწნულია თავგანწირულებამდე აღგზნებული გრძნობა მამულისადმი და სურვილი კეთილის საქმით აღიბეჭდოს კაცის სიცოცხლე. აქვე რომანტიულად შეზავებულია სატრფოსადმი სიყვარულის შესხმა და განმტკიცებული რწმენით, რომ სიკვდილის შემდეგაც სულს სიყვარული თანა წარყვება. შემდეგ, ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მიმართულების ზედგავლენით, გრიგოლ ორბელიანმა დასწერა პატრიოტული ლექსი (1877 წ.) თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში და „მუშა ბოქულაძე“ — მსგავსად ილიას მუშისა. გრიგოლ ორბელიანი სთარგმნიდა რუსულიდან კრილოვის იგავ-არაკებს, ლერმონტოვის და ტუკოვსკის ლექსებსაც. გარდაიცვალა 21 მარტს 1883 წ. და განსაკუთრებულის დიდებით სდასაფლავებულ იქმნა.

ა. ხახანაშვილი






სინათლე და მისი მნიშვნელობა.

(შემდეგი *)



ინათლეს ჩვენ წარმოვადგენთ სხივების ანუ იმ პირდაპირ ნათელ ხაზების სახით, რომლებიც მოახწევენ ხოლმე ჩვენამდის სინათლის სხვა და სხვა წყაროდან. სინათლის სხივს ის თვისება აქვს, რომ ერთს და იმავე გამსჭვირვალე საგანში ის პირდაპირ მიდის, მაგრამ როდესაც გადადის ერთი წრიდან მეორეში, მაშინ ამ ორის წრის საზღვარზე იღუნება ანუ, როგორც ამბობენ, გადასტყდება ხოლმე და სხვა მიმართულებას იღებს. დააკვირდით ანთებულ სანთელს, და დარწმუნდებით, რომ ჰაერში, სანთელსა და თქვენს შორის, სხივი პირდაპირია, გაუღუნავე; აგრედვე, როდესაც ოთახში კედლის ან დარბაზის ნახვრეტიდან სინათლე შემოა-



სურათი 6.

შუქებს, მაშინ მოსჩანს პირდაპირი ნათელი ზოლი სხივებისა. სხივების გაღუნვის ანუ გადატეხვის შესამოწმებლად აიღეთ სქელი, შუშა (სურ 6), დადგით ერთ მხრივ ანთებული სანთელი და მეორე მხრიდან გაჰხედეთ ცალის თვა-

ლით—სანთელი დაბლა დაწეული გეჩვენებათ. თუ გასწევთ მთლად განზედ შუშას, თქვენ მოგეჩვენებათ, რომ სანთელმა

*) იხ. № 9 1909 წ.

ზევით აიწია, თითქოს უცებ გაიზარდაო. ეს მოვლენა წარმოსდგება: როდესაც სანთლისაგან შედის შუშაში სხივი, აღნიშნული ციფრებით 1—2, ის იქ სტყდება (იღუნება) და იღებს ახალ მიმართულებას 2—3; შუშიდან გამოსვლის შემდეგ ჰაერში ხელმეორედ იღუნება და ადგება კიდევ ახალ გზა 3—4. ამის გამო, ამ მხარეზედ მყოფ თვალს ჰგონია, რომ სხივის პირველი მიმართულებაც ამ ხაზზე იყო. სანთლის ყველა დანარჩენი სხივებიც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენენ თვალზე, და ამიტომ სანთლის აღს იგი ჰხედავს ახალ ხაზის 4—5 გასწვრივ. ჩააყუდეთ დახრილად წყალში ჯოხი და დააკვირდით—თქვენ გეგონებათ, რომ ჯოხი გაიღუნა. ამის მიზეზიც აქ დასახელებული მოვლენაა: იღუნება სინათლის სხივები, რომლებიც წყლიდან ჰაერში გამოდიან, და ამის გამო ჯოხიც, რომელსაც ისინი ანათებენ, გაღუნული გეჩვენებათ.

არის ასეთი გამსჭვირვალე აპპარატები, რომლებიც მათში გატარებულ სხივებს ჰლუნავენ ისე, რომ სხივები ერთ წერტილში იყრიან თავს და შემდეგ განსაზღვრულ მიმართულებას იღებენ. ერთ ასეთ აპპარატს ეკუთვნის სათვალესავით რგვალი შუშა, ორივე მხრივ გამობერილი, რომელსაც ჰქვია ლინზა ანუ ლუპა. ¹⁾ თუ გავატარეთ ამ ლინზაში სხივები, ისინი გამოსვლის შემდეგ მოიღუნებიან და ერთ ალაგას მოიყრიან თავს, რის გაგებაც ამ ნაირად შეიძლება. ავიღოთ ლუპა და მიუშვიროთ სანთლის ან მზის სხივებს და შეორე გვერდიდან მიუხლოვოთ ქალაღდი. ერთ ალაგას, განსაზღვრულ მანძილზე, ლუპის ახლოს ამ ქალაღდზედ დავინახავთ ძლიერ განათებულ მოდილო წერტილს, სადაც შეიძლება კიდევ გაიწვეს ქალაღდი, თუ ლუპას ბლომად ეცემოდა ღონიერი სხივები, ²⁾ ამ ადგილს ჰქვია ფოკუსი. ³⁾ იგი სძევს იმ

¹⁾ ლუპა იყიდება ოპტიკურ მაღაზიებში, სადაც ჰყიდიან სათვალეებს, ბინოკლებს და სხ.

²⁾ ამ თვისების გამო ლუპას ჰქვია კიდევ ასანთი შუშა.

³⁾ ფოკუსი არის ლათინური სიტყვა და ქართულად ნიშნავს კერას. ეს სახელი იმიტომ არის ნაზმარი, რომ ამ ადგილას ცეცხლი სწნდება (ინთება) ისე, როგორც კერაზედ.

სწორ ხაზზედ აბ, რომელიც გადის ლუპის შუაგულში⁴⁾ იხუ
ოპტიკურ ცენტრში (სურათი 7). სწორ ხაზს აბ ჰქვია მთა-
ვარი ოპტიკური ღერძი. თუ ლუპას ეცემა პარალელური⁴⁾
სხივები, მაშინ ფოკუსი
მუდამ ერთსა და იმავე
მანძილზედ ახლავს ლუ-
პას, და მას უწოდებენ
მთავარ ფოკუსს. (მე-7 სუ-



სურათი 7.

რათზე ნაჩვენებია პარალელური სხივები და მათი მთავარი
ფოკუსი). მაგრამ თუ სხივები პარალელური არაა, მაშინ მათი
ფოკუსიც მანძილს იცვლის. ამ განსხვავების განხილვას აქ არ
შეუდგები, რადგანაც ამ ეჟამად ეს ჩვენთვის საჭირო არ არის.

ლუპას ორივე მხარეზედ აქვს ფოკუსი: მარჯვნივ-მარც-
ხნიდან მიმავალ სხივებისთვის, და მარცხნივ-მარჯვნიდან მი-
მავალ სხივებისათვის. თუ ავიღებთ უფრო გვერდებ ამოღუ-
ნულ ლუპას, ჩვენ დავინახავთ, რომ ფოკუსი უფრო ახლოს
იქნება მასთან, რადგანაც რაც უფრო ამოზერილია ლუპა,
იმდენად უფრო ღუნავს სხივებს.

4) პარალელური ჰქვია ორს ან რამდენსამე ისეთ ხაზს, რომლე-
ბიც ერთ განსაზღვრულ მანძილზედ ახლავან ერთმანეთს, და, რამდენიც
უნდა გვაგვიჩქლოთ ორივე მხარეზედ, არასოდეს ურთიერთ შორის მან-
ძილს არ შესცვლიან და არ გადასჭრიან ერთმანეთს. ავიღოთ მაგალი-
თად ორი მოკლე ხაზი—აბ და გდ,


ა ————— ბ რამელთა შორისაც არის ერთი სანტიმეტრი მანძი-
ლი. თუ ეს მანძილი არ შევსცვალეთ მეტნაკლებად
გ ————— დ მარჯვნივ და მარცხნივ, მაშინ რამდენი სიგრძეც
უნდა მოვმატოთ, ეს ხაზები ერთმანეთთან მუდამ

სურათი 1.

ერთ სანტიმეტრზე იქნებიან დაშორებული და ერთმანეთს ვერ შეხვდუ-
ბიან—ისინი პარალელურადვე დარჩებიან. მაგრამ თუ იმათ შორის ყველ-
გან ერთნაირი მანძილი არ არის, მაშინ ისინი გავრძელების დროს ერთ-
მანეთს ძლიერ დაუახლოვდებიან და გადასჭრიან კიდევ ერთმანეთს. ასეთ
ხაზებს ჰქვია არა-პარალელური ხაზები. სხივებსაც, რომლებიც ჩვენ
წარმოადგენილი გვაქვს ხაზების მზგავსად, ჰყოფენ პარალელურად და
არა პარალელურად.



ფოკუსში გაელის შემდეგ, სხივები ისევ იშლებიან და ცალკ-ცალკე მიდიან, ასე რომ მათი გზა ფოკუსში არ იკარგება. ამის გამო, თუ ლუპის ერთ მხარეზე არის რამე განათებული საგანი, მაგალითად ანთებული სანთელი, რომლის საგანაც ლუპას ეცემა სხივები, ისინი, ფოკუსში თავის მოყრის შემდეგ, კვლავ განაგრძობენ თავისს გზას, და, როგორც სურათი 8 გვიჩვენებს, საგნის ზევითა ნაწილის სხივები ქვეით დაეშვებიან, და ქვედა ნაწილის სხივები-კი ზევით გაემართებიან. აი სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი იმ საოცარის მოვლენისა, რომ ამ გამსჭვირვალე შუშაში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ საგნების თავუკულმა გადატრიალებული გამოხატულება. აიღეთ ლუპა, გაჰხედეთ მასში და დააკვირდით რომელსამე შორეულ საგანს, რომელიც ლუპის მეორე მხარეზე იმყოფება. თქვენ ამ საგანს თავუკულმა გადატრიალებულად და დაპატარავებულად დაინახავთ. თუ მიუახლოვებთ ლუპას რომელსამე საგანს, ეს უკანასკნელი გადიდებულად მოგეჩვენებათ. რად ხდება ასეთი და ბევრი სხვა მზგავსი მოვლენა ლუპაში? ¹⁾ ამის ასახნელად განვიხილოთ ლუპის და სხვადასხვა სხივები დამოკიდებულება უფრო დაწვრილებით.




სურათი 8.

ბიან. აი სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი იმ საოცარის მოვლენისა, რომ ამ გამსჭვირვალე შუშაში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ საგნების თავუკულმა გადატრიალებული გამოხატულება. აიღეთ ლუპა, გაჰხედეთ მასში და დააკვირდით რომელსამე შორეულ საგანს, რომელიც ლუპის მეორე მხარეზე იმყოფება. თქვენ ამ საგანს თავუკულმა გადატრიალებულად და დაპატარავებულად დაინახავთ. თუ მიუახლოვებთ ლუპას რომელსამე საგანს, ეს უკანასკნელი გადიდებულად მოგეჩვენებათ. რად ხდება ასეთი და ბევრი სხვა მზგავსი მოვლენა ლუპაში? ¹⁾ ამის ასახნელად განვიხილოთ ლუპის და სხვადასხვა სხივები დამოკიდებულება უფრო დაწვრილებით.

ი. მოსეშვილი.

(შემდეგი იქნება)



¹⁾ ასეთსავე მოვლენას ვამჩნევთ ხანდისხან ჩვეულებრივ ტიქაში და ბოთლშიაც.



დედაეჭის აღსარება.

ქვანახშირის ხანა დედაეჭის არსებობაში.



IV

აშინ, როცა სილურის ხანაში დედა-
მიწა წარმოადგენდა ველურ სანახა-
ობას, საღს კლდეებს და დაღვრემილს
მინდვრებს, დევონიის ხანაში სხვა და
სხვა სახეებს თავის სწორ და რბილ
მოხაზულობით განცვიფრებაში მო-

ჰყავს მნახველი. მაშინდელი ზღვები შიგნით ჩაღრმავებულს
ადგილებში ჩნდებოდა, ზღვის ფსკერი, ამოწევის დროს ხმელე-
თად იქცეოდა. ამ ზღვებში აუარებელი მდინარე ჩადიოდა
და ზღვის წყალს სიძლიაშეს აკლებდა, ამის გამო მოუხერხე-
ბლად ხდიდა ზღვის წყალს თევზებისა და სიპინების საცხოვ-
რებლად.

თავი დავანებოთ ამ ძველის დროის სურათს. ახალი დღე
შექმნისა უთენდება პირველ-ყოფილ დედა-მიწას. მას მწვანე
ხავერდი გადაეკვრის, რომელიც უხილაფის ძალით და ენერ-
გიით მიისწრაფვის ცისკენ ნესტიან და ღრუბლიან ჰაერში.
მხოლოდ მოწითაწი და მოელვარე ბურთი ზევით ღრუბ-
ლიან ცაში გვიჩვენებს ადგილს, საცა მზეა, მწვანით მდი-
დრულად შემოსილ ქვეყნის მაკოცხლებელი. თვალწინ გვე-
შლება საუცხოვო ტყე, რომელიც, თითქოს რაღაც ჯადოს-
ნობით, მოფენილა ნესტიან და ქაობიან ადგილებში. პირ-



ველად შეგვიპყრობს ტყის სიჩუმე და მყუდროება. ^{ქართული} ^{საქართველოს} ^{წიგნების} ^{კავშირი} ^{თბილისი}
 დარი მცენარეები მოგვაგონებენ ცხელ ქვეყნების დაბურულს ტყეებს, მაგრამ მაინც ვერ გვაკმაყოფილებს—აქ ვერ ვხედავთ იმ სიმშვენიერეს, ფერების სხვა და სხვაობას, რაც შეინიშნება ცხელ და ზომიერ ქვეყნების დაბურულს ტყეებში. ყველაფერი, რასაც ჩვენ აქ ვხედავთ, არის უზარ-მაზარი ბალახი, რომლისგანაც დროს განმავლობაში გაჩნდა ქვანახშირი დედა მიწაში; ამგვარი მცენარეები ძველად შეადგენდნენ გარდამავალ საფეხურებს მცენარეთა სამეფოს განვითარებაში. მათს შთამომავლობას დღესაც ვხედავთ, მხოლოდ სხვა პირობებში, რაც ბევრად არ განირჩევა ქვანახშირის ხანის პირობებისაგან, რადგანაც მაშინაც შესქელებული ატმოსფერო, ორთქლითა და ნაცრით აღვსილი, როგორც ცხრილში ისე უშვებდა დედამიწაზედ მზის სწორს სხივებს, დედა-მიწის ზედაპირი ანუ ზეადაგი მეტად ქაობიანი იყო და ჰაერიც ნესტიანი და სულის შემზუთველი, რის მსგავსს ეხლაც შევხვდებით ზოგიერთ ყრუ ტყის მივარდნილს და ქაობიანს ადგილებში.

მეორე უფრო დამახასიათებელი ქვანახშირის დროის მცენარეულობისა არის მცურავი მცენარეები, რომელიც უზარ-მაზარ ხეების ოდენა იზრდებოდა. მარტო ტოტები ამ ბუშბერაზ მცენარეებს ნამდვილ ხის ტანისოდენა ჰქონდათ სხვა მცენარეთა შორის შესანიშნავია ისეთი ხეები, რომელთაც მოქარგული ქერქი ჰქონდათ, რისთვისაც ამ მცენარეებს **სიგილიარებს** უწოდებენ, რაც გადათარგმნით ნიშნავს ალბეკდილს ხეს და უზარ-მაზარი **ლექიდოდენდრონები**, რომელთა წარმომადგენელია დღეს საცოდავი მცურავი მცენარეები. შემდეგ ჩვენ გვაოცებს ერთგვარი მცენარეები, რომლებიც გარეგნობით მოგაგონებს ლამპის საწმენდს ვეებერთელა ჩოთქს—იმათ **კალამიტებს** უწოდებენ. ბოლოს ჩვენ ვხედავთ კიდევ ძველს ნაცნობებს **ჩადუნებს**, რომელთა შესახებ დღევანდელი მათი სახე სუსტს წარმოდგენილებას გვაძლევს.

ახლა რომ დავეკითხოთ ჩვენს თავს, ქვა-ნახშირის მკვლევართან შევადაროთ, ში ბუნება ლამაზი იყო თუ არაო, ჩვენ უნდა ვსთქვათ: თუმცა მაშინ უზარ-მაზარი მცენარეულობა ხარობდა დღემდე, მაგრამ ამ გამჭრალ ქვეყნის ბუნება მაინც ვერ ასიამოვნებდა ეხლანდელ ადამიანის თვალს, რომელიც შეჩვეულია დღევანდელს მდიდრულს და სხვა და სხვაგვარ ფორმებს. მაშინდელი მცენარეულობა დღეს საკვირველებად მიგვაჩნია, ქვა-ნახშირის ხანის მცენარეულობის სახეები-კი მეტად ტლანქია და ერთგვარი. როცა ამ უნუგეშო სურათს შევყურებთ, ჩვენ შიგ ბევრს ვერასფერს ვიპოვით ისეთს, რაც უნდა შეადგენდეს ჩვენებურ სახეების სასიამოვნო დამატებას; აქ არ არის მაგალითად ის კეთილსურნელოვანი ზურ-მუხტოვანი ფიანდაზი, რომელზედაც გაგორება ყველას ძლიერ გვიყვარს, ქვა-ნახშირის ხანაში სრულიად არ იყო ის სურნელოვანი ყვავილები, რასაც დღეს ვხედავთ, მაშინ ბუნება მხოლოდ დაბალ მცენარეებს ჰქმნიდა. ქვანახშირის ხანის ტყე ბნელი და ყრუ იყო; იქ არ ისმოდა მფრინავ ბუზანკალების ბზუილი, არც მწერები მოსჩანდნენ სადმე და არც მათი ქრელი და ფერად-ფერადი ზურგი ბრწყინავდა მზის სხივებზე, არ სჩანდნენ არც მოცქრიალე ლამაზი პეპელები, რომელთაც არ შეუძლიათ უყვავილოთ სიცოცხლე. მაშინდელი დროის მცენარეები ეკუთვნოდნენ იმ მცენარეთა კლასს, რომელიც თვლს უყვავილოდ ამზადებს, რასაც ვხედავთ ჩაღუნებზე, მხოლოდ რაღაც განკალკევებულად. უკეთეს მომავლის წინამორბედათ მოსჩანან აქა იქ **ფხოვანი** მცენარეები. ფოთლებიანი ხეების კვალი არსადა სჩანს; არ ვხედავთ აგრედვე ჩვენის ტყეების გამაცოცხლებელს ფრთოსნებს.

მიწიერ და ქვეწარმავალ ცხოველთა შორის შუა ადგილი უჭირავთ ესრედ წოდებულს **სტეგოცეფალებს**, მაგრამ ისინიც რაღაც სრულიად გაცალკევებულს მოვლენას შეადგენენ. ამ უზარმაზარ ბალახებში დაცოცავენ მხოლოდ უმსგავსი და საზიზღარი არსებანი, რომელთა შთამომავალნი ახლაც



იმალებიან თბილს, ბნელსა და ნესტიანს აღგილებში. ესენი არიან მორიელები, ობობები. აქვე უნდა ვსთქვათ: მართალია,



ქვანახშირის ხანის ტყე

წინ სჩანს სტეგოცეფალი, მეორე ამგვარი ცხოველი მოშორებით სჩანს, თავი ამოუყვია წყლიდან. წინიდან მარჯვნივ ბუჭი ფერის ვეებერთელა მცურავი მცენარეა—**ლეპიდოდენდრონი**, მარცხნივ—**მუქი ხე—კალამიტა**, შუაში ლამაზი ნაბეჭდი ტანი ხის სიგილიარისა და ჩადუნები.

მაშინდელი ბუნება ვერ იჩენდა სიუხვეს ცხოველთა ცხოვრების ფორმებში, მაგრამ, სამაგიეროდ, არაფერს აკლებდა იმათს

ტანადობას. მაშინდელი აბანოს კიები სიგრძით ნახევრად
 შინის ოდენა იყო, კუტი კალიები—ქათმის ოდენა, კალიე-
 ბი—ინდოურის ოდენა, თითქმის ბალღინჯოსაც-კი ბელურაზე
 ნაკლები სიდიდით არ ჰქონდა. თვალსაჩინო წინმსვლელობა
 ბუნების მოქმედებაში იყო გაჩენა უხეშ, უზარმაზარი და
 სწორ ფრთებიან კალიის მსგავსის მწერებისა, რომელნიც
 ფრთებს ერთს ადღზე ჰშლიდნენ. ესენი იყვნენ პირველი
 მიწიერი ქმნილებანი, რომელნიც მოშორდნენ დედა-მიწას და
 ცხოველის სიცოცხლე ჰაერში გადაიტანეს.

იმის მსგავსად, როგორც კიბოს მაგვარმა ცხოველებმა და
 პირველ დროის თევზებმა ისწავლეს ცურვა, ამ მწერებმაც,
 თანდათან განვითარებით და ცხოვრების პირობებთან შეგუე-
 ბით, ისწავლეს ჰაერში ფრენა: იწყეს თანდათან ჰაერში ხტომა,
 ჯერ პატარა მანძილზე, შემდეგ დიდზე და ბოლოს თავისუფ-
 ლად მოძრაობდნენ ჰაერში უკვე გამაგრებულ და განვითა-
 რებულ ფრთებით.

ბოლოს ჩირგვების ძირში ცოცვა იწყეს კიანქველების
 მსგავს ტერმიტებმა, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ცხელ
 ქვეყნებში. თავის ცხოვრებით ისინი ბევრად მოგვაგონებენ
 თავიანთ წინაპრებს ქვანახშირის ხანაში, როცა ატმოსფერას
 საკმაო გამჭვირვალობა აქლდა, ახლა ტერმიტები ბნელს ად-
 ვილებში ცხოვრობენ და სანადიროდ მხოლოდ ღამ-ღამობით
 გამოდიან.

ამ სახით, იმ დროს, თუმცა მცენარეულობამ ძლიერ
 წაიწია წინ, მაგრამ ცხოველთა სამეფო-კი დაჩაგრული იყო;
 იმ სურათზე, რომელიც თვალწინ გვიყენებს ქვანახშირის
 დროის ბუნებას, ცხოველებს თითქმის ვერც-კი ვამჩნევთ.
 მაშინდელს დაბურულს ტყეებს უმანკოების ბეჭედი აზის,
 ცხოველთა სიცოცხლე მას ვერ შეხებია და ქვანახშირის დროს
 ტყეებშიაც დაურღვეველი სიჩუმე სუფევდა.

მაგრამ რატომ ვერ ცხოვრობდნენ ამ მდიდარს ტყეში
 ცხოველებიო? იკითხავს მკითხველი, —საკმელი ზომ ბლომად

ჰქონდათ? მიზეზი სრულიად უბრალოა, — იმათ არ შეუძლებიათ სუნთქვა. მართლაც, ნახშირმყავე ჰაერგვარი, რომელიც მეტად ხშირი იყო წინა დროებიდან სანძირების მოქმედებით, აღრჩობდა ცხოველებს, მცენარებისთვის-კი ისეთი საჭირო იყო, როგორც ჩვენთვის და ყველა ცხოველ არსებათათვის საჭიროა მყავბადი, ერთი შემადგენელთაგანი ჰაერისა. მცენარეები ნახშირმყავე ჰაერგვარიდან მხოლოდ ნახშირბადეს ხარჯავენ, მყავბადი-კი მათთვის საჭირო არ არის *). აქედან ცხადია, რომ ქვეყანაზე ცხოველთა სიცოცხლის განვითარებისათვის საჭირო იყო თავდაპირველად მცენარეთა გაჩენა, რომლის სიმდიდრემ და ახოვანებამ მოამზადა საჭირო ჰირობები ცხოველთა არსებობისათვის ხმელეთზე: იმ დროს, როცა მცენარეთა განვითარება ითხოვდა ნახშირბადის შთანთქმას, მყავბადე — უსაჭიროესი სიცოცხლის ნაწილი ცხოველთა, იფანტებოდა გარშემო, რითაც ჰაერი თანდათან უკეთესდებოდა.

უზარ-მაზარი მდიდრული მცენარეულობა, რომელსაც ჩვენ ახლა გავეცანით, ვითარდებოდა ძლიერ დიდის ხნის განმავლობაში, რამდენიმე ათას წელში, შეიძლება მილიონ წლობითაც.

ამ ხნის განმავლობაში იზრდებოდნენ და კვდებოდნენ ის ბუმბერაზები მცენარეთა სამეფოდან, რომლიდანაც შესდგებოდნენ პირველ ყოფილი ველური ატეხილი ბალახები, რომელთაც ბოლოს და ბოლოს შექმნეს ვეგეტოთელა მადნები ქვანახშირისა, აწინდელი მრეწველობის ამამოძრავებელ მძლე ძალისა.

ატმოსფერის ნახშირმყავე ჰაერგვარს უფრო და უფრო შთანთქავდა ეს მდიდარი მცენარეულობა და შავი და ბნელი ღრუბლიც, რომლითაც გაქლენთილი იყო ატმოსფერა, მიმოიფანტა; აუარებელი ნახშირბადე, სიდამპლის სახით, აჩე-

*) ნახშირმყავე ჰაერგვარი შესდგება მყავბადისა და ნახშირბადისაგან. ახლა ჰაერი უმთავრესად მყავბადისა და აზოტისაგან შესდგება, ნახშირმყავე იმაში ძლიერ კონტაა.



ნს კაობიან ზეადაგის ფენებს, რომელშიაც ფესვები მენ ეს ბუმბერაზ მცენარეები, მაგრამ პირობების შეცვლას უნდა მოჰყოლოდა ახალი ფორმები, ძველი კი, რომელსაც ვერ შეეძლო შეგუება ახალს პირობებში, უნდა გამქრალიყო და ადგილი დაეთმო უფრო ძლიერის, უკეთესის ჯიშისათვის.

დიდის ხნის განმავლობაში შეგროვებული აუარებელი დამტვრეული და მკვდარი მცენარე მიჰქონდა წყალს, მოვარდნილ მდინარეს სადმე ჩალრმავებულ ადგილას, ტბებში, წყლის ვეებერთელა აუზებში. აქ ხის ტანი გროვდებოდა, წყლის მკვებადისა და იმ მკვებადის შეერთებით, რომელიც ხეში იმყოფება, თან და თან იქცეოდა ნახშირად. იმავე მდინარეს მოჰქონდა ტბაში თიხის შლამი, რომელიც გადაეყრებოდა ხეს ზემოდან, ხე მოჰყვებოდა მიწაში და მკვებადის მოქმედებაც შესუსტდებოდა. მიწაში მოყოლებული ხე მილიონ წლების განმავლობაში მაგრდებოდა და ზემოდან დაყრილი თიხის შლამი აჩენდა იმ ნახშირის ფიქალს, რასაც ვხედავთ ქვანახშირის შრეებზედ. ამ ფიქალზედ ხშირად შეხედებით მაშინდელ დროის მცენარეთა ფორმების აღბეჭდილებას, თვითონ ქვანახშირში კი, მკვებადის ნელა მოქმედების გამო, სრულიად გამქრალია შინაგანის შენობის კვალი.

ქვანახშირის გაჩენა ყველგან ისე არ ხდებოდა, როგორც ზემოთ ავსწერეთ, რადგანაც ყველგან მდინარეს არ ჩაჰქონდა ხეები შორეულ ადგილებიდან ჩალრმავებულ ადგილებში. უფრო ხშირად ეს ძვირფასი მასალა ჩნდებოდა იქ, სადაც მისი წარმოშობი მცენარეულობა ხარობდა. საზოგადოდ ქვანახშირის მადანი წარმოადგენს მთელს რიგს შრეებისას, რაც გვიჩვენებს გარეგან პირობათა ცვლილებას, რომლის წყალობითაც ტყეები ჩნდებოდა და ისპობოდა. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ქვანახშირი ყოველთვის ხმელეთის მცენარეთაგან არ ჩნდებოდა, არამედ ზღვის მცენარეებიდანაც, რომელთაც ემატებოდა ხმელეთიდან ჩატანილ ხეების ტანი. ამას გარდა,

საუკეთესო ხარისხის ქვანახშირს სრულიად არ ატყვევებენ. ნარის კვალი, თითქოს იგი ტბების ფსკერში დაგროვებულ მცენარეთა შლამისაგან იყოს გაჩენილი.

რომ დაუკვირდეთ ეხლანდელს თორფიან (მიწა-მკვარა) კაობებს, *) დაერწმუნდებით, რომ ქვა-ნახშირის ფენებს გარდამავალი ხანა ატყვია. ამ სახით, ძნელი წარმოსადგენი



არ არის, თუ როგორ გაჩნდა იმ ადგილს ქვანახშირი. ამ ქამად ქვანახშირის გაჩენაში უპირატესობას აძლევენ ესრედ წოდებ-

*) თორფი ანუ მიწა-მკვარა კაობის ნელად დამპალი მცენარეებია, ნახშირად გადაქცეული და ფენებად დაწყობილი კაობის ძირში. აშრობენ კაობებს, ამოაქვთ ფენები, სტკეპნიან, აშრობენ, სტრიან აგურებით და ხმარობენ შეშის მაგივრად.



ბუღის თორფიულს თეორიას ქვანახშირის წარმოშობის თეორიის მიხედვით, ქვანახშირი საბე შეცვლილი თორფა და ქვანახშირიც იქ ჩნდება, სადაც თვითონ მასალა ხეირობს.

დღეს ბევრგან ამოაქვთ დედამიწიდან ქვა-ნახშირი. რუსეთში შესანიშნავია დონის მხარე, სადაც ქვა-ნახშირი მოფენილია მიწაში 19,000 ოთხკუთხ ვერსის სივრცეზე. ჩვენში ცნობილია ტყიბულის ქვა-ნახშირი, რაქისა და იმერეთის საზღვართან, ნაქერალის მთის ძირში.

იმ დროინდელ ქვანახშირის მინდვრები, ნეიმაირის სიტყვით, —უნდა წარმოვიდგინოთ მოღრმავ ქვაბნარ ადგილებად, რომელთაც მილიონ წლების განმავლობაში მრავალი ცვლილება განუცდიათ. ზოგ ხანებში იქ ტბები ყოფილა, სადაც მდინარეებს ჩაუზიდავთ ქვიშა, ქვები და მცენარეულობა; ამის წყალობით იქ გაჩნდა ფიქალიანი თიხა, სილიანი ქვები და სხ., რომელშიაც ბლომად ურევია ორგანიული ნივთიერებანი და კარგად შენახული გაქვავებული ხმელეთის მცენარეები. დროს განმავლობაში წყლის მოდენამ იკლო, ან და წყლის აუზი, სხვა და სხვა მიზეზების გამო, გაშრა და იმის ფსკერზე იფეთქა მდიდრულმა მცენარეულობამ, რომლის მკვდარი ნაწილები თან და თან იქცეოდა თორფად, —ჩნდებოდა ქვანახშირის შრე. შემდეგ იმავე ადგილზედ ისევ ტბა გაჩნდებოდა და ამ სახით ხდებოდა გარეგან პირობათა მუდმივი ცვლილება, ასე რომ ზოგ ადგილებში ქვანახშირის ფენებს შუაში მიჰყვება ფიქალიანი თიხა და მქადა ქვები“.

ლ. ბოცვაძე





შ ა რ ა დ ა .

პირველსა ლაპარაკის დროს
იმერნი ხშირად ხმარობენ,
ბატონოს გეტყვის, როდესაც
იმ სიტყვას ჩაუმატებენ.

შეორე კარაქს რო სდღვებენ,
სითხე რამ განადენია, —
ადვილი გამოსაცნობი,
დიად, მიმიხედით, მგონია.

მესამეს ვეტყვით მაღლა ქერს,
ფიცრულსა ანუ მიწურსა;
უმისოდ სახლი არ ვარგა:
წვიმა ჩაუვა ძირს მდგმურსა.

მთლად შენობაა, რომელიც
გაჩერდა არარატზედა
და იმის შემდეგ გამრავლდა
ხალხი ჩვენს ქვეყანაზედა.

კ. დარაშვილი

ა ნ დ ა ზ ა .

(ჩაწერილი ერწოში დ. ნახუტრიშვილის მიერ)

რა კაცი ხარ, რა ოჯახი გაქვსო; ერთი ქათამი გყავს,
დაგიკრუბდება — დაგიმარხვდება, მოიქცევა (კვერცხის დებას
დაიწყებს) და გაგიხსნილდებაო.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ანდ. ბაქრაძის-მიერ).

დედი შე-
ნის ვა-
ჟიშვი-
ლი.

ავის
მოწი-
ნაბლ-
მდეგე.

ქსია.
ნი
დღე
ანუ?



ზ
ნაც-
ვალ
სასე-
ვი.

თ



” კ



მე-9 №-ში მოთავსებულ შარადის აღსნა:

მესერი.



ქართული
ენების
აქადემია

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. ნახ.

ქალაქიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავ გადასავალი, თხზულება, ძარკუტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ.

რას გვიამბობს მთასი. თხზულება ბუენაროუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ.



მიიღება ხელის მოწერა

ქართული
ენათმეცნიერება

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუბამწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

წელიწადი მთავსე

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-ლი“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. მარლენის აჩრდილი, — მოთხრობა ჩარლზ დიკენსისა სურათებით. — II. ქართული მხატვრული ასოები კუბიკაზი.

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საკანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია:

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამხდვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარა წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის საბ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერნი:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი. ი.